

უხრწნელისა მისთვის შრომათა მიერ და ოფლთაგან
ხრწნადთა კაცთა მიერ მოგებულისა
სინმიდისა და ქალწულებისათს

თაზი 15

1. გუესმა ანლა უკეთურისა მის ნაყროვანებისა მძლავრი-სა, რამეთუ იტყოდა, ვითარმედ მისი ნაშობი არს ბრძოლად ჯორცთად, და არად საკვრველ არს, რამეთუ გუასწავლის ამას პირველიცა იგი მამად ჩუენი ადამ, რამეთუ უკუეთუმცა არა ნაყროვანებითა ძლეულ იყო, არამცა ეცნა მეუღლმც თვისი ყოვლადვე, რომელი-იგი იცნა, გამო-რად-ვარდა სამოთხით. და ანცა უკუე, რომელთა-იგი პირველი მცნებად დაიცვან, მეორითა მით დაცემითა არა დაეცემიან, არამედ დაადგრე-ბიან შეურყეველად ძეობასა შინა ადამისსა, მცირედ რადმე დაკლებულნი ანგელოზთაგან. და ესეცა ამისთვის, რადთა არა უკუდავად ეგოს ბოროტი იგი, ვითარცა იტყვს დიდი გრიგო-ლი ღმრთისმეტყუელი. ვინადთგან უკუე პირველ თქუმუ-ლისა მის ვნებისა ძლევასა ესე შუენიერი სინმიდმც შეუთქს, ამისთვის ჯეროვანსა ადგილსა დავანესეთ სინმიდისათს თქუმად ძალისაებრ ჩუენისა.

2. სინმიდმც თვებად არს უჯორცოთა ბუნებისად.

3. სინმიდმც ტაძარი არს ქრისტესი სათნოდ და ცაჲ არს გულისად ქუეყანასა ზედა.

4. სინმიდმც უარის-ყოფად არს ბუნებისად, უადრეს ბუნე-ბისა და შური უჯორცოთად ჯორცითა მოკუდავითა და გან-ხრწნადითა საკვრველად.

5. ნმიდაჲ იგი არს, რომელმან ტრფიალებითა ტრფიალე-ბად განდევნა და ცეცხლი ცეცხლითა უნივთოთა დაშრიტა.

6. სინმიდე ზიარი სახელი არს ყოველთავე სათნოებათად.

7. ნმიდაჲ იგი არს, რომელი ძილსაცა შინა არცა ერთსა შერყევასა გონებისასა და აღძრვასა შეიტყუებდეს.

8. წმიდა იგი არს, რომელმან სრული კრძალულება მოიგო და ყოვლადვე ვერ ჰპოებდეს თავისა თვისისა თანა კუალსა ვნებათასა.

9. ესე არს კანონი და საზღვარი სრულისა მის სინმიდისად, რადთა არარადათა შეიცვალეზოდის გონებად განყოფილებასა ზედა გუამთასა, არამედ ერთად იყოს სულიერთა გუამთა მიმართ და უსულოთა, პირმეტყუელთა და პირუტყუთა.

10. ნუმცა ვინ მომგებელთაგანი სინმიდისათა ჰგონებს, თუ თვისთა ძალითა მოიგო იგი, რამეთუ თვისისა ბუნებისა ძლევა შეუძლებელთა საქმეთაგანი არს.

11. სადა ძლევა ბუნებისად იქმნა, მუნ უეჭუელად ბუნებისა უზეშთაესი იგი დაემკვდრა, რამეთუ – თვნიერ ყოვლისა ცილობისა – უდარესი უალრესისა მიერ განქარდების.

12. დასაბამი სინმიდისად არს გულისსიტყუათა დაცვა სრულიად, და წარწყმედად უცნებათად და ხატთა ბოროტთა ხილვისად და დინებათა ზედაჲს-ზედათად. გარნა თუ ჟამთა სიგრძესა შინა იქმნებოდის, თვნიერ უცნებისა დინებად ძილსა შინა. და საშუალი საზომი სინმიდისად – ბუნებითი აღძრვანი თვნიერ უცნებათაჲსა, და განშორებულნი დინებისაგან. ხოლო სრული საზომი სინმიდისად არს მოკუდინებად ჯორცთად პირველვე მოკუდინებითა გულისსიტყუათათა.

13. ნეტარ არს ჭემმარიტად იგი მონაზონი, რომელმან ყოვლისავე ფერისა მიმართ და ყოვლისა გუამისა და ყოვლისა პირისა მიმართ და ყოვლისა სიკეთისა სრულიადი უმეცრებად ვნებისად მოიგო, რადთა ვერ-სადა შეატყუას თავსა შორის თვისსა ვნებისა რაჲსამე კუალი ესევეითართა მიმართ საქმეთა.

14. არა-თუ რომელმან თიჯად ესე შეუგინებელად დაიცვას, იგი არს წმიდა, არამედ რომელმან ასონი თვისნი სრულიად სულსა დაუმორჩილნა.

15. დიდ არს, რომელი შეხებასა შინა უვნებელად ეგოს,

და უდიდეს მისა არს, რომელი ხედვისაგან ეგოს მოუწყლველად და სძლოს ხედვასა ცეცხლისასა წსენებითა სიკეთეთა მათ და შუენიერებათა ზეცისათა.

16. რომელი ლოცვითა განსდევნიდეს ძაღლსა მას, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი ჰბრძან ლომსა; ხოლო რომელი სიტყვსგებითა და წინააღდგომითა გონებისაჲთა ჰბრძოდის მას, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი სდევნინ მტერსა თვსსა; ხოლო რომელსა უდებ-უყოფიეს სრულიად ზედამოსლვად მისი, იგი დაღაცათუ ჯორცთა შინა იყოს, საფლავისაგან აღდგომილვე არს.

17. უკუეთუ ესე ჭემმარიტისა სინმიდისა სახე არს, რომელ აღუძრველად იყოს უცნებათა შინა ძილისათა, მაშა ესე უეჭუელად საზღვარი არს დიდისა მის ვნებულეებისაჲ და ბილწებისაჲ, რომელ მღვდარე რაჲ იყოს, დინებაჲ შეემთხუეოდის გულისსიტყუათაგან.

18. რომელი შრომითა და ოფლითა ჯორციელითა ჰბრძოდის ამას მძლავრსა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან შეკრა მტერი თვსი წუელითა თივისაჲთა; ხოლო რომელი მარხვითა და მღვდარებითა ეწყვებოდის მას, იგი მსგავს არს მისა, რომელმან შებორკილა რკინითა წინააღმდგომი თვსი; ხოლო რომელი სიმდაბლითა და ურისხველობითა და წყურილითა წინააღუდგებოდის, იგი მსგავს არს მისა, რომელმან მოკლა მბრძოლი თვსი და დაჰფლა ქვშასა შინა.

19. ქვშად გულისწმა-ჰყო სიმდაბლწ, რამეთუ არა ზრდის იგი საძოარსა ვნებათასა, არამედ არს ყოვლითურთ მიწა და ნაცარ.

20. სხუად არს, რომელსა მოლუანებითა თვსითა, და სხუად არს, რომელსა სიმდაბლითა, და სხუად არს, რომელსა საღმრთოჲთა ნიჭითა და გამოცხადებითა შეეკრას მძლავრი იგი. და ერთი იგი მთიებისა მსგავს არს, და მეორწ – დიდსა მას მთოვარესა, და მესამწ – ბრწყინვალესა მას მზესა, და ამათ ყოველთა საყოფელი ცათა შინა არს.

21. პირველად ცისკარი აღელის და მერმე ნათელი მოეფინის და მაშინლა გამობრწყინდის მზე, ეგრეთვე ზემო თქუმულნი იგი გულისხმა-ყვენ.

22. იჩემებნ მელი ორგულებით ძილსა, და ეშმაკი სიძვისა – დაცადებასა ბრძოლისასა: ერთმან მან, რაათა მფრინველი შეიპყრას, და მეორემან ამან, რაათა სულნი კაცთანი მონადირნეს და წარწყმიდნეს.

23. ნუ დაიჯერებ, ძმაო, ჯორცთა შენტა ბრძოლისა დაცადებასა, და ნუ მიენდვები მათ ყოველთა დღეთა ცხორებისა შენისათა, ვიდრემდე წინაშე ქრისტესა წარგადგინონ.

24. ნუ მიენდვები მარხვასა, თუმცა არა დაეცი მისგან. რამეთუ, რომელი-იგი ყოვლადაე არარას სჭამდა, ზეცით გარდამოვარდა, ნუუკუე შენმცა უჭმელობამან დაგაყენაა?!

25. ვიეთმე გულისჯმისყოფელთა კეთილად თქუეს, ვითარმედ მონაზონებად ესე არს მტერობად ჯორცთა თქსთად და ბრძოლად მუცლისა თქსისად.

26. ახლადმოსრულთა შორის შუებისა და განსუენებისაგან იქმნებიან დაცემანი ჯორცთანი, ხოლო საშუალთა თანა სიმალლისაგანცა, და ახალთაცა შორის იქმნებიან სიმალლისაგან; ხოლო რომელი სისრულესა მიახლებულ იყვენ, მათ განკითხვისაგან ოდენ მოყუსისა შეემთხუევის.

27. ვიეთნიმე ჰნატრიან მათ, რომელნი ბუნებით საჭურისნი არიან დედის მუცლით მათითგან, ვითარმედ განსუენებასა შინა არიან ჯორცთა ბრძოლისაგან. ხოლო მე ვჰნატრი მათ, რომელნი დღითი-დღე გამოისაჭურისვიან თავით თქსით, და მოიკუეთენ მათგან გულისსიტიყუათა ბილწებისათა, ვითარცა მახვლითა ორპირითა.

28. ვიხილენ კაცნი რომელნიმე, რომელნი დაეცნეს თვნიერ ნებისა მათისა; და ვიხილენ სხუანი, რომელთა ნებისით ენება დაცემის და ვერ ეძლო, და უფროდსი უბადრუკებად მივეც მათ, ვიდრელა რომელნი დღითი-დღე დაე-

ცემიან, რამეთუ ვერ შეეძლო და სიმყრალისა მისთვის სურ-
ოდავე.

29. სანყალობელ არს, რომელი დაეცეს, ხოლო უსანყა-
ლობელეს არს, რომელმან მეორესაცა მოატყუას დაცემად,
რამეთუ ორთავე დაცემისად და გულისთქუმისა სიმძიმე მან
იტკრთოს.

30. ნუ გნებავს სიტყვსგებითა და ცილობითა უკუნიქცევ-
ად ეშმაკსა მას სიძვისასა, რამეთუ მას მრავალნი მიზეზნი
ჰქონან ჩუენდა მომართ, ვინადთგან ჩუენითავე ბუნებითა
გუბრძავნ ჩუენ.

31. რომელსა ენებოს ჯორცთა თვსთად ძალითა თვსითა
ბრძოლად და ძლევაჲ, ცუდად შურების, რამეთუ უკუეთუ
არა უფალმან დაარღვოს სახლი ჯორცთად და აღაშენოს სა-
ხლი სულისად, ცუდად იღვძებს და იმარხავს, რომელსა ენე-
ბოს დარღუევაჲ მისი.

32. უჩუენე უფალსა სენი იგი ბუნებისა შენისად და იცან
ყოველსა ჟამსა უძღურებაჲ თავისა თვსისად, და მიიღო
უფლისაგან მადლი სინმიდისად უხილავად.

33. არს გემოთმოყუარეთა თანა, ვითარცა მე ვინმე მი-
თხრა მას შინა შთავრდომილმან შემდგომად განფრთხობისა,
ვითარმედ: „იქმნებისო მათ შორის ცნობაჲ რადმე ჯორცთა
ტრფიალებისად, და შევალს მათ თანა სული რადმე ურცხ-
ვნოდ და უკეთური, რომელი მჯდომარე არნ საცნობელსა
მას ზედა გულისასა, და ჯორციელად მეზრ ტკივილითა გუ-
ლისათა, ვითარცა საჭუმილისაგან ცეცხლისა, მოატყუებნ
კაცსა მას, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინინ და წსენებაჲ
სატანჯველთად, ვითარცა არარად შეურაცხ-ყვის, და ლოც-
ვაჲ სძავნ, და ხილვაჲ მკუდართად, ვითარცა უსულოთა მათ
ქვათა ხედვაჲ, ესრეთ შეჰრაცხის. და ყვის კაცი იგი, რომ-
ლისა თანა არნ, ვითარცა სულელი და ცნობამიღებული, და
დაათრვის გულისთქუმითა გუამთა მიმართ პირმეტყუელ-
თა და პირუტყუთასა, რომელ უკუეთუმცა არა შემოკლდეს

დღენი ესევეითარისა მის ბრძოლისანი³² და სულისა მის უკეთურისანი, არამცა განერა ყოველი სული, რომელსა ჰმოსიან თიჯანი ესე ჯორცნი სისხლსა თანა და თელგმასა მყრალსა შერთულნი“. რამეთუ ვინამცა განერა, ვინათგან ყოველსა ნათესავსა თვისსა თვისებისა მიმართ განუძღომელად სურის: სისხლსა სისხლისა მიმართ და მატლსა მატლისა მიმართ, და ეგრეთვე – ჯორცთა ჯორცისა მიმართ, დაღაცათუ ღონისძიებით ვისწრაფით მაცთურისა მის ცთუნებად ბუნებისა მაიძულებელნი ესე და სასუფეველისა მოსურნენი.

34. ნეტარ არიან, რომელნი ყოვლადვე არა გამოცდილ არიან პირველსა ამას ბრძოლასა, რომელი ესერა ვთქუთ, და ვილოცოთ უფლისა მიმართ, რათა არცა გამოვიცადნეთ. რამეთუ, რომელნი მას მთხრებლსა შთავრდომილ იყვნენ, შიმშილი და შრომაჲ დიდი უჭმს, რათა შეუძლონ აღსლვად კიბესა მას სათნოებათასა.

35. გულისჯმა-ვყოთ და ვცნათ, ნუუკუე ჩუენთაცა მათ მტერთა – ეშმაკთა – ბრძოლასა შინა მათსა ჩუენდა მომართ, თითოეული მათი განწესებულ არს ერთსა და ერთსა საქმესა და ბრძოლასა ზედა, რომელ-ესე საკვრველ არს.

36. დავიდევე გონებასა ჩემსა განცდად მათდა, რომელნი ბრძოლათა შინა არიან და ვიხილენ დაცემანი დაცემათა უდიდესნი. „რომელსა ჰქონან ყურნი სმენად, ისმინენ“ (მათ. 11,15)!

37. აქუს ჩუეულებაჲ ეშმაკსა და უფროჲსად მოლუანეთა მიმართ მონაზონთა, რომელ მრავალგზის ყოველსავე მანქანებასა და ზაკულებასა და ღონესა და მოსწრაფებასა თვისსა დასდებს ბუნებისა გარეგანთა ვნებათა მიმართ ბრძოლად მათდა და არა ბუნებითა მიმართ. ამისთვისცა მრავალნი, იყვნინან რაჲ დედათა თანა, ყოვლადვე არა შეექმნის

³² რამეთუ ფიცხლისა ბრძოლისა დღენი შემოკლდებიან ძალითა სულისა წმიდისაჲთა.

ბრძოლა, და ამისთვის ჰნატრიდიან თავთა თვსთა და ვერ გულისწმა-ჰყოფენ უბადრუკნი, ვითარმედ სადა უდიდესი დაცემა იქმნების, მუნ უდარესისათვის არა ისწრაფიან ეშ-მაკნი.

38. ვჰგონებ თუ ამის ორისა მიზეზისათვის გუბრძვანან ბუნებისა გარეგანთა საქმეთა მიმართ უბადრუკთა ამათ მკლველნი იგი ჩუენნი: ერთად, რამეთუ ნივთი იგი დაცემი-საჲ მის ყოველგან გუეპოების, და მეორედ, რამეთუ საშჯე-ლი უზეშთაესი და დიდი აქუს.³³

39. იცის თქუმული ესე მან, რომელი პირველ კანჯართა უბრძანებდა და ერჩდეს მას, ხოლო უკუანაძსკნელ სულთა განმხრწნელთა მათ კანჯართა მიერ – ეშმაკთა – დამორ-ჩილებულ და მოკიცხულ იქმნა; და რომელი-იგი ზეცისა პუ-რითა იზარდებოდა, ხოლო უკუანაძსკნელ კეთილისა მის-გან გამოეჭუა. და საკვრველი ესე არს, რომელ შემდგომად სინანულად მოსლვისა მისისა იტყოდა მწუხარებით და სი-მნარით წინამძღუარი ჩუენი ანტონი, ვითარმედ: „დიდი სუე-ტი დაეცაო“, ხოლო სახცჳ დაცემისა მისისაჲ დაფარა ყოვ-ლადბრძენმან მან, რამეთუ იცოდა, ვითარმედ სიძვაჲ იყო ჳორცითა და თვნიერ სხვსა ჳორცთა შეხებისა.

40. არს ჩუენ შორის ერთი რაჲმე სიკუდილი და წარწყმე-დაჲ დაცემისაჲ, რომელი ჩუენ შორის და ჩუენ თანა იქცე-ვის მარადის, და უფროსაჲ ჟამსა სიჭაბუკისასა, რომლისა მე დაწერად ვერ ვიკადრე, რამეთუ დააყენა ჳელი ჩემი მან, რომელი იტყვს, ვითარმედ: „რაჲ-იგი ფარულად ვიეთგანმე იქმნებიან, საძაგელ არს თქუმაჲცა და წერაჲ, და სმენაჲ საქმეთაჲ მათ“ (შდრ. ეფეს. 5,12).

41. ჩემთა ამათ და არა ჩემთა³⁴ მტერ-მოყუარეთა ჳორც-

³³ „ბუნებისა გარეგანნი“ არიან მამათმავლობაჲ და პირუტყვთა თანა დაცემაჲ; ხოლო ამათ თანა შერთო ხელითა დაცემაჲცა.

³⁴ „ჩემნი“ ამისთვის, რამეთუ სულსა თანა შერთულნი არიან; ხო-ლო „არა ჩემნი“ – რამეთუ მბრძოლნი არიან სულისანი.

თა დიდმან პავლე სიკუდილად სახელ-სდვა, რამეთუ იტყვს, ვითარმედ: „ვინ-მე მივსნას ჯორცთა ამათგან სიკუდილისათა?“ (რომ. 7,24). ხოლო ნეტარმან ღმრთისმეტყუელმან გრიგოლი ვნებულად უწოდა და მონად დაბნელებისად, ხოლო თუ რაფსათვს ესე ვითარნი სახელნი უწესნეს მას წმიდათა მათ, მწყუროდა ცნობად.

42. უკუეთუ ჯორცნი სიკუდილ არიან, ვითარცა თქულ არს, საცნაურ არს, ვითარმედ რომელი მძლე-ექმნეს მათ, იგი არა მოკუდეს, და ვინ-მე არს კაცი იგი, რომელი ცხონდეს და არა იხილოს სიკუდილი შეგინებისა ჯორცთა მისთაფსა?!

43. მითხარ, გვედრები, ვინ არს უდიდეს – რომელი მოკუდა და აღდგა, ანუ რომელი ყოვლადვე არა მოკუდა? და რომელი მეორესა ამას ჰნატრის, ტყუის, რამეთუ ქრისტე მოკუდა და აღდგა; ხოლო რომელი პირველსა ჰნატრის მკუდრეთით აღდგომილსა, მაშა ნუმცა ვის დაცემულთა და მოკუდართაგანსა წარუკუეთს სასოებასა.

44. კაცთმოყუარედ სახელ-სდებნ ღმერთსა კაცთმოძულჴს ესე მტერი სიძვისა ეშმაკი და იტყვნ, ვითარმედ ამას ვნებასა, ვითარცა ბუნებითსა, ადრე შეუნდობს. ხოლო ჩუენ ვიხილნეთ მზაკუფარებანი ეშმაკთანი, რამეთუ შემდგომად დაცემისა მართლმსაჯულად და უწყალოდ იტყოდიან მას, რამეთუ პირველ დაცემისა ივმარეს იგი ღონჴ, რაფთამცა მიგვზიდნეს ცოდვისა მიმართ, ხოლო შემდგომად დაცემისა კუალად მოიპოეს ესე, რაფთამცა სასონარკუეთილებად მოგვყვანნეს.

45. ვიდრემდის მწუხარებისა იგი და სასონარკუეთილებისა გულისსიტყუად გუბრძავნ, არა მივსცნით თავნი ჩუენნი დაცემად, ხოლო რაჟამს იგი განქარდის, კუალად კაცთმოყუარედ სახელმდებელი იგი მძლავრი მოიწიის.

46. ვითარცა-იგი უფალი უხრწნელ არს და უჯორცო, ეგრეთვე სინმიდესა და უხრწნელებასა ზედა ჯორცთა ჩუენთასა იხარებს.

47. არარასა ზედა იხარებენ ესრეთ ეშმაკნი, ვითარ სიმყრალესა ზედა სიძვისასა, და არა-რომელი ვნებაჲ უყუარს მათ, ვითარ შეგინებაჲ წორცთაჲ.

48. სინმიდღ თვსებაჲ არს ღმრთისაჲ და მსგავსებაჲ მისი ძალისაებრ კაცთასა.

49. დედაჲ სიტკობებისაჲ არს ქუეყანაჲ და ცუარი, ხოლო დედაჲ სინმიდისაჲ – დაყუდებაჲ მორჩილებითურთ.

50. რომელთა-იგი სძლეს წორცთა თვსთა დაყუდებითა და მოიგეს უვნებელობაჲ, ესევეითარნი, უკუეთუ მახლობელად სოფლისა მივიდენ, აღიძრნენ კუალად ვნებანი მათ ზედა; ხოლო მორჩილებისა მიერ მოგებული უვნებელობაჲ ყოველსა ადგილსა გამოცდილ არს და მტკიცე და შეურყეველ.

51. ვიხილე სიმაღლეს სიმდაბლისა მომატყუებელი,³⁵ და სიტყუაჲ იგი მოვიწესენე, ვითარმედ: „ვინ ცნა გონებაჲ უფლისაჲ?“ (რომ. 11,34).

52. მთხრებლი და ნაშობი ამპარტავანებისაჲ არს დაცემაჲ, ხოლო დაცემაჲ მრავალგზის, რომელთა ენების, სიმდაბლისა მიზეზ ექმნის.

53. რომელსა ენებოს ნაყროვანებითა და სიმაძღრითა ძლევაჲდ ეშმაკსა სიძვისასა, მსგავს არს იგი კაცსა, რომელი ავსებნ ზეთითა ცეცხლსა.

54. რომელი მარხვითა ოდენ ისწრაფდეს დაცხრომად ბრძოლისა წორცთაჲსა, მსგავს არს კაცსა, რომელი ერთითა ჭელითა ცურავნ, და ენების ზღუასა დიდსა წიაღსლვაჲ.

55. შეზავე მარხვასა თანა სიმდაბლესცა, რამეთუ თვნიერ მეორისა პირველი იგი უსარგებლო არს.

56. რომელმანცა იხილოს თავი თვსი, ვითარმედ იძლე-

³⁵ სიმდაბლე არს თავისა თვსისაჲ ყოველთა უქუესად შერაცხვაჲ, ხოლო იქმნების ესე ახოვნებითა გონებისაჲთა და შიშისაგან ღმრთისა. და იქმნების დაცემათაგანცა, რომელთა დედაჲ არს ამპარტავანებაჲ.

ვის ვნებისა რადასამე მიერ, ყოვლისა პირველად მისა მიმართ აღიჭურენ, და უფროდსად ამის – სიძვისა მტერისა, რამეთუ უკუეთუ იგი არა იძლიოს, არარაად სარგებელ არს სხუათა ძლევისაგან; ხოლო უკუეთუ შეუძლოთ ამის მეგვპტელისა მოკლვად, მაშინ ჩუენცა ვიხილოთ ღმერთი მაყოლანსა მას შინა სიმდაბლისასა.

57. რომელსამე ჟამსა, გამოვიცადებოდე რად, გულის-წმა-ვპყოფდი მეგელსა ამას სიძვისასა, ვითარმედ სიხარულსა პირუტყუებრივსა და ცრემლთა და ნუგეშინისცემასა შემოიღებდა სულსა შინა ზაკუვით, და ვპგონებდი მე გონებითა ყრმებრითა, ვითარმედ ნაყოფი რადმე მაქუს და არა უნაყოფობაჲ და ხრწნილებაჲ.

58. ჭეშმარიტად, „ყოველივე ცოდვაჲ, რომელი ქმნას კაცმან, გარეგან ჳორცთა არს, ხოლო რომელმან ისიძვოს, ჳორცთა შინა თვსთა ცოდავს“ (1 კორ. 6,18), ამისთვის, რამეთუ ბუნებასა მას და არსებასა ჳორცთასა შეაგინებს დინებითა მით ბილწებისაჲთა, რომელ ესე სხუასა ცოდვასა ზედა არა იქმნების.

59. ვეძიებ მე, თუ ვითარ ყოვლისავე ცოდვისათვს ვიტყვოთ, ვითარმედ იგი ვინმე სცთა, ხოლო სიძვისათვს ვიტყვოთ სანწყალობელად, ვითარმედ იგი ვინმე დაეცა.

60. ივლტის თევზი სამჭედურისაგან და სული გემოთ-მოყუარწ – დაყუდეებისაგან.

61. რაჟამს ენების ეშმაკსა შეკრვაჲ ვიეთიმე ურთიერთას საკრველითა ბოროტისა სიყუარულისაჲთა, მაშინ ორივე კერძი გამოცადის და ორთავე შთაუგდის სიყუარული ურთიერთას. და უკუეთუ პირველითგანვე ვნებისა გულისსიტყუათა არა შეინწყნარებდიან, მაშინ პირველად სულიერისა სიყუარულისა მიზეზითა იწყის და მერმე ნებისა თვსისაებრ აღატყინის საწმილი იგი.

62. მრავალგზის, რომელნი-იგი გემოთმოყუარებისა მიმართ მიდრეკილნი იყვნენ, მოწყალე და გულჩჩკლ და

ცრემლმრავალ და მოყუარულ იყენიან, ხოლო რომელნი მოლუაწენი არიან სინმიდისანი, არა ესრეთ ჰქონან მათ საქმენი ესე, ვითარ პირველთა მათ.

63. მკითხა ოდესმე კაცმან ბრძენმან და გონიერმან საკითხავი და მრქუა მე: „რომელი ცოდვად არს უმძიმეს ყოველთა ცოდვათა, შემდგომად კაცისკლვისა და ღმრთისა უარის-ყოფისა?“ ხოლო მე ვარქუ მას, ვითარმედ: „შთაფრდომად წვალებასა“. ხოლო მან მრქუა მე: „და ვითარ, რაჟამს მწვალებელნი მოვიდიან კათოლიკე ეკლესიასა მართლმადიდებლობად და უარყვიან და შეაჩუენიან წვალებად იგი ყოვლითა გულითა, მეყსეულად ღირს-ჰყოფს მათ ეკლესიად ზიარებასა წმიდათა საიდუმლოთასა, ხოლო რომელნი დაეცნენ სიძვითა, მო-რად-ვიდენ აღსარებად და საქმწ იგი დაუტეონ, ჟამ რავდენმე განაყენებს მათ კანონი მოციქულთა და მამათად ზიარებისაგან?“³⁶ ხოლო მე განვკვრდი დაფარულსა მას საქმესა ზედა და დაფარული იგი დაფარულადვე ეგო და აღუწსნელად, თუ რომლისა მიზეზისათჳს იქმნების ესე.

64. გამოვიძიოთ და გამოვიწუღილოთ და გულისწმავყოთ, თუ გალობასა შინა ფსალმუნებისასა, რომელი არს სიტკბობებად იგი, რომელი სიძვისა ეშმაკისაგან მოვალს ჩუენდა, ანუ რომელი არს, რომელი სიტყუათაგან სულისა წმიდისათა და მათ შინა მყოფისა მადლისა და ძალისაგან იქმნების.

65. ნუმცა სცთები, ჳ, ძმაო, რომელი-ეგე სიჭაბუკესა შინა ხარ, რამეთუ ვიხილენ ვიეთნიმე, რომელნი ყოვლითა გულითა მათითა მოყუარეთა მათთათჳს ილოცვიდეს და იქმოდეს ამას სიყუარულითა და გულისიტიყკთა სიძვისადათ,

³⁶ რამეთუ წვალებად გონებისა განდრეკილებად არს და ენისა საქმე, ხოლო სიძვად ყოველთავე საცნობელთა ჳორცთასა და ძალთა სულისათა შესცვალებს არა არსებად არსებისაგან, და ხატებასა ღმრთისასა, რომელი არს ჩუენ ზედა, განჰხრწნის.

და იგინი ჰგონებდეს, თუ წსენებასა და წესსა სიყუარულისა-სა აღასრულებენ.

66. იქმნების შეხებითაცა შეგინებად წორციელად, რამეთუ უფროს თუალთაჲსა და უფროს სასმენელთაჲსა ესე საცნობელი შეხებისად უფრო მძიმე არს და ადრე შემძლებელ ვნებად.

67. მოიწსენე იგი, რომელმან შეიხვა საწლითა წელი თვსი* და გეშინოდენ შენცა წელის მიყოფად ბუნებითაცა და არა ბუნებითა – თვსთა და უცხოთა წორცთა.

68. ვჰგონებ, თუ არავინ ითქუმის ჭეშმარიტად წმინდა, ვიდრე არა შეცვალოს მინაჲ ესე და თიწად ოქროდ, უკუეთუ ოდენ შეუძლოს, რამეთუ ძნელ არს.

69. რაჟამს სარეცელთა ზედა დავწვეთ, მაშინ ფრთხილად ვიყვნეთ, რამეთუ მაშინ გონებაჲ ოდენ თვნიერ წორცთაჲსა ჰბრძავს ეშმაკთა. და უკუეთუ გემოთმოყუარე იყოს გონებაჲ იგი, ადრე იქმნების შინაგანმცემელ სულისა.

70. წსენებაჲ სიკუდილისაჲ დანწებოდენ შენ თანა მარადის და ლოცვაჲ იესუმს მიმართ უფლისა, რამეთუ არარაჲ არს სხუაჲ ესევითარი შემწჳ ძილსა შინა, ვითარ ესენი, ვერცა რაჲ ჰპოო მსგავსი ამათი.

71. ვიეთნიმე იტყვან, თუ ჭამადთაგან ოდენ იქმნებიან ბრძოლანი და დინებანი. ხოლო მიხილვან მრავალნი სნეულნი ფიცხლად და მმარხველნიცა ძლიერად, და ფრიად შეიგინებოდეს დინებითა და ბრძოლითა.

72. ვკითხე ოდესმე ამის საქმისათვს გამოცდილსა ვისმე და გულისწმისმოფელსა მონაზონსა და მასწავა ნეტარმან მან კეთილად, ვითარმედ: „იქმნების დინებაჲ ძილსა შინა სიმრავლისაგან ჭამადთაჲსა და განსუენებისა; და ოდესმე იქმნების ამპარტავანებისაგან, რაჟამს მრავალჟამ

* მას ძმასა იტყვს, რომელი დედასა თვსსა წყალსა წიაღ-იყვანებდა.

დაუბრკოლებლობისა ჩუენისათჳს ვზუაობდეთ; და იქმნების კუალად განკითხვისაგანცა მოყუსისა; და ორნი იგი მოინევიან სნეულთაცა ზედა, ხოლო ვჰგონებ თუ სამნივეცა. უკუეთუ კულა იხილოს ვინმე თავი თჳსი განწმედილი ამათ მიზეზთაგან და შეემთხუეოდისვე დაცემაჲ, ნეტარ არს მუშაკი იგი უვნებელობისაჲ, რამეთუ შურისაგან ეშმაკთაჲსა შეემთხუევის მას, ვინაჲთგან შეუნდობს ღმერთი, რაჲთა ჟამითი-ჟამად შეემთხუეოდის ესე, რაჲთა განსაცდელითა უცოდველითა მოიგოს მან სიმდაბლჳ მალალი“.

73. ნუმცა ვინ ინურთის დღისი უცნებათა ძილსა შინა ხილულთა, რამეთუ ესეცა გულისსიტყუაჲ და ღონჳ ეშმაკისაჲ არს, რაჲთა სიზმართა მიერ მღჳძარედცა შეგუაგინებდენ.

74. ვისმინოთ სხუაჲცა ღონჳ ეშმაკთაჲ, რამეთუ ვითარცა ჳორციელად მავნებელნი ჭამადნი მრავალგზის შემდგომად დღეთა და ჟამთაჲსა გუავენებენ, ეგრეთვე ოდესმე იქმნების სულიერსაცა ზედა. რამეთუ ვიხილენ კაცნი, რომელნი იყვნიან შუებასა და განსუენებასა შინა და სუმასა ღვნისასა და არარაჲ აქუნ ბრძოლაჲ მას ჟამსა და ესე მრავალჯერ ქმნიან, და მერმე ამითვე მიზეზითა შეაგინიან სული კაცისაჲ მტერთა.

75. ვიხილენ კუალად კაცნი, რომელნი ჭამდიან და იცუოდინ დედათა თანა და არარას იგრძნობდეს ყოვლადვე გულისსიტყუასა ბოროტსა გულსა შინა მათსა. და ვითარცა მიენდვნეს და უზრუნველ იქმნეს შეცთომილნი იგი, რაჟამს-იგი ჰგონებდეს თუ მშჳდობაჲ აქუს და უცთომელობაჲ სენაკსა შინა თჳსსა, მაშინ მეყსა შინა მოინია მათ ზედა დაქცევაჲ. ხოლო თუ რომელი არს დაქცევაჲ იგი, რომელი, მარტოებით რაჲ ვიყვნეთ, მოინევის ჩუენ ზედა სულიერად და ჳორციელად, რომელი გამოცდილ არს, მან იცის იგი, ხოლო რომელი არა გამოცდილ არს, არა საჯმარ არს მისდა ცნობაჲ.

76. ეგვეითარსა ჟამსა შინა კეთილი შეწვენაჲ არს ჩუენ-

და შემოსად ძაძისად და ნაცარსა ზედა ჯდომად და ზედგომად ძლიერად ჳელაღპყრობით ლოცვასა შინა, და შიმშილი პურისად, და ენისა განწმობად ნყურილითა – რაფთა ზომით ოდენ დავასოვლებდეთ მას, და ყოფად საფლავთა შინა, და ყოვლისა უწინარეს სიმდაბლწ გულისად. და თუ ღონწ გაქუნდეს მას ჟამსა, თანაშეინიე მოძღუარი, ანუ ბერი ვინმე, გინა ძმად მოსწრაფე, რომელსა მოეპოვოს გონებად ბერისად, რამეთუ მე მიკვრს, უკუეთუ კაცმან მარტოდ შეუძლოს ნავისა დიდისა უფსკრულით ნავთსაყუდელად შეყვანებად.

77. მრავალგზის ორთა შეემთხვის ერთი რაფმე ცოდვად, და იგივე დაცემად ასწილად უმძიმეს არნ ერთისად მის, ვიდრე მეორისად, ადგილისაგან და ზრდილობისა და საზომისა, და სხუათაგან მრავალთა.

78. მიზეზთა მრავალთაგან და თითოსახეთა იქმნებიან დაცემანი, რამეთუ რომელნიმე მახლობელად მავნებელთა პირთაფთა ყოფითა იქმნებიან და ხედვითა მათითა, და სხუანი – ჭამადთაგან, და სხუანი – ზუაობისაგან და სხუათა მრავალთა მიზეზთაგან.

79. მითხრა ვინმე საქმწ საკვრველი და საზომი სრული სინმიდისად, და იტყოდა, ვითარმე: „იხილა ვინმე პირი კაცისად შუენიერი ფრიად და დიდად ადიდა დამბადებელი, და უკვრდა სიბრძნწ იგი და ძალი შემოქმედისად, თუ ვითარილა შუენიერებად უქმნიეს მას თივისა და არარადსაგან. და ხილვითა ოდენ მისითა მოვიდა დიდად სიყუარულად, და დამოსდიოდეს ნაკადულნი ცრემლთანი. და იყო საკვრველ ხილვად საქმისად მის, რამეთუ რომელი-იგი სხუათა წარმწყმედელ და დაცემა იყო, მისთვის მიზეზ გვრგვინისა იქმნებოდა უაღრეს ბუნებისა“.

80. უკუეთუ ეგევითარსა მას ეგევითართა საქმეთა ზედა მარადის ეგევითარი საზომი და გონებად აქუს, მაშა აღდგომილ სადმე არს იგი აღდგომითა მით უხრწნელითა პირველ ყოველთა აღდგომისა.

81. ესევე სახეც გალობათა და ჟამობათა ზედა იქმნების, რამეთუ ღმრთისმოყუარენი სიხარულად და სიყუარულად ღმრთისა და ცრემლად მოვლენ გალობისაგან, ხოლო გემოთმოყუარენი – ვნებულებად და ცთომად.

82. რომელთამე, ვითარცა პირველ ვთქუთ, განშორებულთა და უდაბნოს მყოფთა ჰბრძავს ფიცხლად ეშმაკი სიძვისაჲ, და არა საკვრველ არს, რამეთუ ფრიად იყოფებიან ეშმაკნი უდაბნოთა, ვინაფთგან უფალმან უდაბნოდ და უფსკრულად განჴადნა იგინი ცხორებისათჳს ჩუენისა.

83. ჰბრძვანან დაყუდებულსა ეშმაკნი ძლიერად, რათამცა დაარწმუნეს, თუ არარაჲ სარგებელ-ეყო უდაბნოს ყოფითა, და ესრეთმცა სოფლად წარიყვანეს.

84. წარვიდიან ჩუენგან ეშმაკნი მცირედ ჟამ, ვიყვნით რაჲ ერისაგანთა თანა, რათამცა დავირწმუნეთ, ვითარმედ არარაჲ გუევენების, და მუნმცა დავადგერით, რათამცა ესრეთ მომიმარჯუეს მტერთა ჟამი და ადვილადმცა დაგუცნეს ჩუენ.

85. რომელსაცა საქმესა და ადგილსა გუბრძოდინ ეშმაკნი, მუნცა ჩუენ ვებრძოდით მათ, რამეთუ უკუეთუმცა არა უმძიმდა მათ საქმეც იგი და ადგილი, რადმცა გუბრძოდეს მისთჳს? უკუეთუ კულა რაჟამს იგინი გუბრძოდინ, ჩუენ არა ვჰბრძოდით, არამედ ვმორჩილებდეთ, საცნაურ არს, ვითარმედ მეგობარ მათდა ვიქმნებით.

86. მრავალგზის წარვიდით სოფლად საჭმრისა რაჲსათჳსმე, და გუფარავნ მარჯუენაჲ ღმრთისაჲ ლოცვითა მოძღურისაფთა ამისთჳს, რათა არა იგმოს სახელი ღმრთისაჲ ჩუენ ძლით. და ოდესმე ულმობელობისაგან გულისა ვერ ვსცნობთ ბრძოლასა, ვიყვნეთ რაჲ სოფელსა შინა და რამეთუ განმაძღარ ვიყვნით ხედვითა და ზრახვითა მავნებელითა, და ვერ შევიტყუებდით ვნებასა, რამეთუ სავსე ვიყვნით ვნებითა; გინა-თუ კულად ეშმაკნი იგი სიძვისანი ნებსით წარვიდიან ჩუენგან და დაგკტევიან ჩუენ ეშმაკი ზუაობისაჲ აღმასრულებელად ადგილსა მათსა.

87. ისმინეთ კუალად მის მზაკუვარისა ღონჭ და მანქანებად ყოველთა, რომელთა გნებაეს სინმიდისა მოგებად. რამეთუ მითხრა ვინმე გამოცდილმან მზაკუვარებისა მათისამან, ვითარმედ: „მრავალგზის ეშმაკი სიძვისად განეშორების მონაზონისაგან, და ჟამსა მას დედათა თანა ჯდომისასა ღმობიერ-ჰყოფნ გულსა მისსა, და მოსცის წყაროდ ცრემლთა და მოაგონის, რადთამცა ასწავლიდა მათ წსენებისათეს სიკუდილისა და საშჯელისა და სინმიდისათეს და მოღუანებისა, რადთა სიტყვთა მით ღმობიერებისადათა და სახითა მით მაჩუენებლობისადათა მირბიოდინ მგლისა მის თანა, ვითარცა მწყემსისა მიმართ. და რაჟამს იქმნის ჩუეულებად და კადნიერებად, მაშინ მოინიის დაცემად უბადრუკსა მას ზედა“.

88. სივლტოლით ვივლტოდით, ძმანო, არა ხედვად, არცა სმენად ნაყოფისა მის, რომლისა აღთქუმად გკქმნიეს, არა ხილვად გემოდ მისი. რამეთუ მე მიკვრს, უკუეთუ თავნი ჩუენნი უდიდეს და უძლიერეს შეგვრაცხიან დავით წინაფსწარმეტყუელისა, რომელი-იგი შეუძლებელ არს.

89. ესრეთ დიდ არს და მალალ სათნოებად იგი სინმიდისად, ვიდრელა იკადრეს მამათა წმიდათა და სახელ-სდვეს მას უენებლობად.

90. ვიეთნიმე იტყოდეს, ვითარმედ: „შეუძლებელ არს, რადთამცა ენოდა კაცსა წმიდა შემდგომად ცოდვასა შინა დაცემისა“. ხოლო მე წინააღუდგები მათ და ვიტყვ, ვითარმედ: „ჰე, შესაძლებელ არს, ვითარცა რომელსა ენებოს, და ადვილ არს ველურისა ზეთისხილისა შინაურ-ყოფად დამყნითა მას ზედა ტკბილისა მის და კეთილისა ზეთისხილისა, ეგრეთვე შესაძლებელ არს შემდგომად ცოდვისა სინმიდჭ“.

91. უკუეთუ ჳორცითა ქალწულსა ერწმუნნეს კლიტენი სასუფეველისა ცათაფსანი, ნუუკუე-და მართალსა იტყოდეს პირველთქუმულნი იგი. გარნა არცხუენს მათ, რომელსა-იგი

სიღედრი ესუა და წმიდა იქმნა და სასუფეველისა კლიტენი მიეცნეს.*

92. მრავალ არიან ღონენი სიძვისა ეშმაკისანი და სიმანქანენი მისნი. რამეთუ, რომელნი არა გამოცდილ არიან დაცემითა ცოდვისათა, მათ ასწავებნ და ეტყუნ: „ერთგზისლა გამოცადე და სხუად კუალად ნუ მიეახლები“. ხოლო, რომელნი-იგი დაცემულ არიან და გამოცდილ ცოდვითა, მათ მოაწსენებნ გემოსა მას, რომელსა გამოცდილ იყვნინან გემოჲს-ხილვითა.

93. მრავალნი გამოუცდელნი ცოდვისანი უმეცრებითა მის საქმისათა არა სურვიელ არიან მისა მიმართ; და მრავალნი არიან გამოცდილნი საქმესა მას ბილნებისათა, რომელთა სძაგს იგი და არა ჰნებავს მიახლებად. და კუალად, მრავალთა გამოუცდელთა მისთა სურის, რათამცა გამოიცადნეს; და გამოცდილთა აქუს ბრძოლად გემოჲსა მის წსენებითა და იმძლავრებინ მისგან.

94. მრავალგზის დაგუეძინის ძილი კეთილი და აღვდგით მშკდობით, რამეთუ ანგელოზნი წმიდანი უხილავად გუფარვიდიან, და უფროჲსად – რაჟამს ლოცვითა და ვედრებითა ფრიადითა დაგუეძინის. და მრავალგზის კუალად კეთილად დაგუეძინის და ხილვათაგან ბოროტთა შეშფოთებულნი აღვდგით ეშმაკთა მიერ უკეთურთა.

95. ვიხილე უღმრთოდ ამაღლებული და აღმატებული და აღშფოთებული და აღზუავებული ჩემ შორის უფროჲს ნაძუთა მათ ლიბანისათა, და თანანარვკედ მარხვისა მიერ, და არა იყო, ვითარცა პირველ ჩემ შორის გულისწყრომაჲ მისი, და ვეძიებდ ადგილსა მისსა, დავამდაბლე რად გონებაჲ ჩემი, და არა იპოვა ჩემ შორის კუალი მისი (შდრ. ფსალმ. 36,35-36).

96. რომელიცა ჯორცთა მძლე-ექმნა, იგი ბუნებასა მძლე-ექმნა, ხოლო რომელი-იგი ბუნებასა მძლე-ექმნა,

* პეტრეს იტყვს, მოციქულსა.

იგი უზემთაეს ბუნებისა ქმნილ არს, ხოლო რომელი ამას საზომსა მინევნულ არს, იგი მცირედლა დაკლებულ არს ანგელოზთაგან, და ნუუკუე ყოვლადვე არა დაკლებულ არს.

97. არაჲ საკრველ არს, უკუეთუ უნივთოდ უნივთოსა ჰბრძოდის, არამედ ესე არს ჭემმარიტად დიდი საკრველი, რომელ ნივთიერი წინააღმდეგომითა ამით და მძიმითა ნივთითა უნივთოთა და უწორცოთა მტერთა სძლევს.³⁷

98. ესეცა უწყოდეთ, საყუარელნო, ვითარმედ ესეცა მრავლითა ზრუნვითა და წყალობითა ჩუენითა განაგო ღმერთმან, რომელ დასდვა დედათა ზედა ზარი და სირცხული და მიფარვაჲ, და ვითარცა აღკრითა აღკრ-ასხნა მათ ამით, რამეთუ უკუეთუმცა აქუნდა მათ კადნიერებაჲ მძლავრებით მისლვად მამათა მიმართ, არამცა განერა მათ ყოველი წორციელი.

99. სხუად არს მოსლვად გულისსიტყვსაჲ წურილად, და სხუად არს თანაზრახვად გონებისაჲ გულისსიტყვსა მის თანა, და სხუად არს დამტკიცებაჲ, და სხუად არს ტყუეობაჲ, და სხუად არს ბრძოლაჲ, და სხუად არს, რომელსა-იგი ეწოდების ვნება, ვითარცა წმიდანი მამანი იტყვან. რამეთუ ესრეთ იტყვან ნეტარნი იგი, ვითარმედ: „წურილადი მოსლვად გულისსიტყვსაჲ ესე არს, რაჟამს სიტყუად რადმე უნდოჲ, ანუ ხატი ახლად ხილული რადმე მოუჭდეს გულსა; და თანაზრახვად გონებისაჲ ესე არს, რაჟამს იწყოს გონებამან ზრახვად გულად მოსრულისა მის ხატისა მიმართ ვნებულად, გინა უვნებელად. და დამტკიცებაჲ არს წამისყოფად გულისთქუმითი სულისაჲ ხილულისა მის მიმართ. ხოლო ტყუეობაჲ ესე არს ანუ იძულებითი და მძლავრებით მითაცებაჲ გულისაჲ, ანუ გულისსიტყუად დადგრომილი ჩუენ თანა, და წესისა მის ჩუენისა კეთილისა განმრყუნელი. და

³⁷ „უნივთოდ“ არს ანგელოზი და ეშმაკი და სული, ხოლო „ნივთიერ“ არიან წორცნი.

ბრძოლად არს, რაჟამს გულისსიტყუად იგი და კაცი სწორის-სწორ ჰბრძოდინ, და ანუ სძლევდეს, ანუ იძლეოდის. ხოლო ვნებად იგი ითქუმის, რომელ მრავალჟამ დაებუდოს სულსა შინა გულისსიტყუასა, ვითარცა ჩუეულებად მოსრულ იყოს გონებად წურთად მისა, და თავით თვისით მივალნ მისა მიმართ. და ამათ ყოველთაგან პირველი იგი უცოდველ არს, ხოლო მეორე – არა ფრიად, და მესამე – საზომსა ზედა მის მოლუანისასა, ხოლო ბრძოლად ანუ გვრგვინსა, ანუ ტანჯვისა მომატყუებელ ექმნების. და ტყუეობად სხუებრ განიკითხვის ლოცვისა ჟამსა და სხუებრ – მოცალებისა ჟამსა, და სხუებრ – ბოროტთა გულისსიტყუათა ზედა, და სხუებრ – ცუდთა. ხოლო ვნებასა უეჭუელად ანუ შესწორებული მისდა სინანული უჭმს, ანუ საუკუნოდსა სატანჯველისა თანამდებ არს. ან უკუე რომელი პირველსა მას უვნებელად იგონებდეს, სხუანი იგი ყოველნივე მოუწყუედიან ერთბამად“.

100. არს გულისჭმისმყოფელთა მამათა მიერ თქუმული სხუადცა ამათსა უწულილადესი გულისსიტყუად, რომელსაცა ელვად გონებისა სახელ-სდებენ ვიეთნიმე, რომელი-იგი თვნიერ ჟამისა და თვნიერ სიტყვსა და თვნიერ ხატისა მოჭსენებისა, უმაღლესად ამის ყოვლისა, ოდენ ვნებისა სახესა რასმე უცნაურად სულსა უჩუენებს და ქმნის მოსლვად თვისი წსენებითა რადმე წულილითა და უჟამოთა და უპოვნელითა. და რომელთამე მიერ ყოვლადვე არა საცნაურ იქმნის იგი.

101. რომელსაცა უპოვნიეს ესევითარი იგი სინულილე მისი, მას ძალ-უც, რადთა გამოგვცხადოს და გუასნაოს, თუ ვინაე ანუ ვითარ იქმნების ხილვითა ოდენ თუალთადა და შეხებითა წელისადა და სმენითა წმისადა, თვნიერ გულისსიტყვსა რადსავე, სიძვად სულისაე ვნებულად.

102. რომელნიმე იტყვან, ვითარმედ გულისსიტყუათაგან გულისათა მოვლენ წორცნი ვნებად და აღძრვად; და კუალად სხუანი იტყვან, ვითარმედ საცნობელთაგან წორც-

თასა იშვებთან გულისსიტყუანი ბოროტნი. და პირველნი იგი იტყვან, ვითარმედ უკუეთუმცა გონებად არა წინამძღუარ-ქმნილ იყო ვნებისა, ჯორცნიმცა არა მიყოლილ იყვნეს. ხოლო მეორენი იგი ჯორცთა ვნებისა სიბოროტესა შემნედ თვისისა სიტყუსა მოიღებენ და იტყვან, ვითარმედ მრავალგზის ხილვითა პირისადათა, ანუ შეხებითა ჳელისადათა, ანუ ყნოსითა სულნელებისადათა, ანუ სმენითა ჳმისა ჳამოხსადათა მოვლენ გულისსიტყუანი გულად. ამათ საქმეთა ჳეშმარიტებად, რომელსა ძალ-ედვას უფლისა მიერ, გამოაცხადენ და გუასნავენ, რამეთუ ფრიად სარგებელ არს ესევითართა საქმეთა ცნობად მათთკს, რომელნი გულისჳმის-ყოფით ილუწიან, ხოლო რომელნი სინრფოებით და ლიტონად აღასრულებენ ცხორებასა თვისსა და სიმარტივითა გულისადათა, მათდა არა საჳმარ არიან ამათ ესევითართა გამოძიებანი. რამეთუ არა ყოველთად არს გულისჳმის-ყოფად, არცა ყოველთად არს სანატრელი სინრფოებად, არამედ ჯაჳჳ მზაკუვარებისაებრ მტერთადასა საჳმარ არს.

103. რომელნიმე ვნებანი გონებისაგან ჯორცთა მომართ მოვლენ, და რომელნიმე – კუალად ჯორცთაგან გონებად. და სოფლიოთა თანა მეორჳ ესე იქმნების, ხოლო უდაბნოს მყოფთა თანა – პირველი იგი, რამეთუ არა არიან მათ თანა ნივთნი ვნებათანი ხილულად. გარნა მე ამას ზედა ესრეთ ვიტყვ, ვითარმედ: „ეძიებდე უკეთურთა თანა მეცნიერებასა და წესიერებასა, და ვერ ჳპოო“ (შდრ. იგავ. 14,6).

104. რაჳამს ფრიად ვჳბრძოდით ეშმაკსა მას სიძვისასა და განვდევნით იგი გულისაგან ჩუენისა ქვითა მარხვისადათა და ვტანჯით მახკლითა სიმდაბლისადათა, მაშინ ჯორცთა შინა დაშთის, ვითარცა ჳიად რადმე, და უჳამოთა და ცუდითა აღძრვითა აღგუძრავნ და ჳნებავენ შეგინებად ჩუენი. ხოლო ესე უფროხსად მათ ზედა მოინევის, რომელნი ეშმაკსა მას ზუაობისასა მიერჩდენ, რამეთუ ვინადათგან არა ზედადს-ზედა მოვიდოდეს გულად მათდა გულისსიტყუანი ბოროტნი,

ამისთვის ზუაობად მოვიდეს. და ვითარმედ უტყუელ არს თქუმული ესე, რაჟამს დაყუდებასა შინა იყვნენ ესევეთარნი იგი, მაშინ გამოეძიებედ კეთილად, და პოონ გულისსიტყუად რადმე სიღრმესა შინა გულისასა, ვითარცა გუელი სკორესა შინა დამალული, რომელი მოაგონებნ, ვითარმედ თვისთა ძალითა და მოსწრაფებითა წარუმართებიეს სინმიდჳ იგი მცირედი გულისაჲ. და არა გულისწმა-ჰყოფენ უბადრუკნი იგი სიტყუასა მას, ვითარმედ: „რაჲ გაქუს, რომელი არა მი-გიღებიეს უსასყიდლოდ“ (1 კორ. 4,7), ანუ ღმრთისა წყალობითა, ანუ სხუათა შეწევნითა და ლოცვითა?

105. ჯერ არს მათდა, რადთა ფრიადითა მოსწრაფებითა პირველთქუმული ესე გუელი გულთაგან მათთა განიოტონ სიმდაბლითა ფრიადითა, რადთა რაჟამს მისგან განთავისუფლდენ, მაშინ ნუუკუე შეუძლონ მათცა აღძარცვად სამოსელთა მათ ტყავისათა, და რადთა უგალობდენ უფალსა ძლევისა გალობითა სინმიდისაჲთა, ვითარცა ოდესმე ყრმანი იგი უბინონი, რომელნი მიეგებვოდეს ქრისტესა, უფალსა ყოველთასა. და რაჟამს ესრეთ შეუძლონ აღძარცვად სამოსელთა მათ ტყავისათა ბოროტთა, არა შიშუელ იპოვნენ უმანკოებისა და სიმდაბლისა მათისაგან.

106. უმზირის მარადის ესეცა ეშმაკი უფროჲს ყოველთა ეშმაკთასა, და უფროჲსად, რაჟამს ვერ ძალ-გუედვას ჯორციითა მოღუანებაჲ და კეთილად ლოცვად, მაშინ გუბრძავნ ჩუენ არანმიდაჲ იგი.

107. რომელთა არა მოეგოს ლოცვად გულისაჲ ჭეშმარიტი, მათ დიდად შეწევნის ჯორციელად შრომაჲ ლოცვისაჲ, ესე იგი არს განპყრობაჲ ჳელთაჲ, ცემად მკერდსა თვისსა, ხედვად ცად მიმართ მჭურვალითა გულითა, სულთქუმაჲ ფრიადი, მუწლთმოღრეკაჲ ძლიერად, რომელსა-ესე ვერ შემძლებელ იყვნინან კაცთა თანა ყოფად. და ამისთვის ესე-ვითარსა ჟამსა აღადგინინან ეშმაკთა ბრძოლად მათ ზედა, რომელთაცა ვერ ძალ-ედვის ჯერეთ უხილავითა ძალითა

ლოცვისადათა და მკსინვარებითა გონებისადათა ძლევად მათ-
და და განძლიერებად თავთა თჳსთა, და ამისთჳს მრავალ-
გზის იძლინიან.

108. განეშორე მცირედ კაცთაგან მას ჟამსა, უკუეთუ
შესაძლებელ იყოს, დაიმაღლე მცირედ ჟამ; აღიხილე თუალი-
თა სულისადათა, და თუ ესე ვერ გეძლოს, მაშა ჳორციელითა
აღიხილენ ზეცად, განიპყრენ ჳელნი ჯუარის სახედ შეუძრ-
ველად, რადათა სახისა მის მიერცა არცხვნო ამაღლესა და
მძლე-ექმნა. ჳმა-ყავ შემძლებელისა მის მიმართ შენევენად
შენდა, ნუ სიტყჳთა საფილაფოზოდათა, არამედ სიტყჳ-
თა სიმდაბლისადათა, ღალადებდ ყოვლისა პირველად, ვი-
თარმედ: „მინყალე მე, რამეთუ უძღურ ვარ მე“. მაშინ იხი-
ლო ძალი მაღლით გარდამო და უხილაფნი იგი მტერნი უხი-
ლავად იოტნე უხილავითა შენევნითა. და რომელი დაეჩჳოს
ესრეთ ბრძოლად მტერთა, მან ადრე ისნაოს სულითაცა
ოდენ ძლევად მათდა თჳნიერ ჳორცთაფსა, რამეთუ ნაცვალნი
პირველისაჲ მის მეორეც ესე მოეცემის ღმრთისა მიერ მუშაკ-
თა სიმართლისათა.

109. მივედ ოდესმე შესაკრებელსა ძმათასა და ვიხილე
მუნ ძმაჲ ფრიად მოსწრაფჳ, რომელი შეაშფოთეს გულისსი-
ტყუათა სიძვისათა. და, რამეთუ ვერ პოვა ადგილი ფარუ-
ლი ლოცვად მარჯუჳ, ამისთჳს მიზეზ-ყო შესლვად ადგილსა
გარეგანსავალსა საჳმრისათჳს ჳორცთაფსა და მუნ დადგა
და მყოარ-ჟამ ილოცა მტერთა საბრძოლელად. ხოლო
მე ვაბრალე მას, რამეთუ ესევეითარსა უწესოსა ადგილსა
ილოცვიდა, და მან მრქუა მე, ვითარმედ: „განდევნისათჳს
არანმიდათა გულისსიტყუათასა ესევეითარსა სიმყრალისა
ადგილსა ვილოცე, რადათა განვერე სიმყრალისაგან“.

110. ყოველნივე ეშმაკნი პირველად გონებისა დაბნე-
ლებად ისწრაფიან და მერმე, ვინადათგან გონებაჲ დააბ-
ნელონ, რაიცა ენებოს, აქმნევენ. რამეთუ, უკუეთუ გონე-
ბისა თუალნი არა დაიყვნენ, ვერ წარიპაროს საუნჯეჳ იგი.

და უფროდს ყოველთასა სიძვისა ეშმაკი იქმს ამას, რამეთუ მრავალგზის დააბნელის მან მთავარი – გონებად, და აქმნენ წინაშე კაცთასა და ათქუმენ საქმეთა და სიტყუათა, რომელთა განცოფებულნიცა არა იქმან. ამისთვისცა, შემდგომად ამისა, განიღვიძიან რად გონებათა მათთა, არა ოდენ მათგან, რომელთა ეხილნიან, არამედ თავთა თვსთაგანცა ჰრცხუენინ საქმეთა მათთვს და სიტყუათა და სახეთა მათ უშუერთა, და უკვრნ დაბრმობად იგი მათი, და მრავალნი ესევეითართა ამით შეწუხებითა ბოროტისა მისგან დასცხრეს.

111. გარემიაქციე და ნუ უსმენ უკეთურსა მას, რომელი შემდგომად ცთომისა და ბოროტისა რადსამე ქმნისა დაგაყენებნ ლოცვად და მარხვად და მღვდარებად და წარგიკუეთედეს სასოებასა! არამედ მოიწსენე შენ სიტყუად იგი უფლისად, რომელი თქუა, ვითარმედ: „წყინებისათვს სულისა მის, ვნებათა მიერ მიმძღავრებულისა, და ჩუეულებათაგან ბოროტთა ჭირვეულისა უსაჯო მას მტერთაგან მისთა“ (შდრ. ლუკ. 18,5).

112. განდევნე, საყუარელო, იგიცა უკეთური მტერი, რომელი გეტყოდის, ვითარმედ: „აღასრულე გულისთქუმად ეგე შენი და შენ კუალად შემძლებელ ხარ სინანულად და ლოცვად და მარხვად და მღვდარებად. და კუალად იგლოვდე და განაკეთო სული შენი“. წარდევნე იგი შენგან, რამეთუ მრავალთა ქმნეს ბოროტი და ვერღარა მოვიდეს სინანულად, რამეთუ გულისთქუმანი ეუფლნეს რად, ვერღარა გამოიწსნეს მათგან, ანუ-თუ მყის სიკუდილი ეწია მათ.

113. სიძვად დამაბრკოლებელი არს ლოცვისად და განმაქარვებელი არს კადნიერებისად წინაშე ღმრთისა და დამაბნელებელი გონებისად.

114. არავინ არს, რომელმან სძლო ჯორცთა თვსთა, გარნა იგი, რომელმან შემუსრა გული თვსი. და არავინ არს, რომელმან შემუსრა გული თვსი, გარნა რომელმან უარყო

თავი თვისი. რამეთუ, ვითარ არა შეიმუსროს გული, რაჟამს ნებანი სრულიად მოკუდენ?!

115. არს ვნებული, ვნებულთა უვნებულესი, რომელი თვთ აღსარებასაცა ბილწებათა თვისთასა გემოვნებით და ვნებულად იქმს.

116. გულისსიტყუანი ბილწნი ყოველნივე სიძვისა ეშ-მაკისაგან იშვებიან, რომელთაცა განჰკურნებს და იოტებს მარხვად, და რადთა იგინი არარად შეერაცხნენ, და მღკდარებად და სიმდაბლწ გულისადა და დაგდებად თავისადა წინაშე ღმრთისა.

117. ხოლო მე ან ამას ყოველსა ზედა რად-მე ვყო? რამეთუ, თუ ვითართა სახითა შევკრა მეგობარი ესე ჩემი, რომელ არიან ჯორცნი, და შემსგავსებულად სხუათა მათ მძლავრთასა განვიკითხო, არა უწყი. რამეთუ პირველ შეკრვისა განიწსნების, და ვიდრეა არა მეტანჯოს, დავეგები, და ვიდრე არა დამესაჯოს, მოვდრეკები. ვითარ მძლე ვექმნა, რომელი-იგი ბუნებით მიყუარს? ვითარ განვთავისუფლდე მისგან, რომლისადა საუკუნოდ შეკრულ ვარ? ვითარ მოვაკუდინო, რომელი-იგი ჩემ თანა აღდგომად არს? ვითარ უხრწნელ-ვყო, რომელსა-იგი განხრწნადი ბუნებად მიუღებებს? რად მიზეზი ვჰრქუა, რომელსა-იგი მრავალნი მიზეზნი ჰქონან? უკუეთუ შევკრა იგი მარხვითა, განვიკითხავ მოყუასსა და კუალად მასვე მივეცემი; უკუეთუ დავსცხრე განკითხვისაგან და ვსძლო, ამას ზედა კუალად აღმიმალდების გული და მისთავე ჯელთა შთავგარდები. და შემწწცა არს და მბრძოლიცა, და მეგობარიცა არს და მტერიცა, და ჯელისამპყრობელიცა არს და წინააღმდეგომიცა. რაჟამს განუსუენებდე, მებრძვის, და რაჟამს ვაჭირო, მოუძღურდების. მივერჩდე თუ, წარმწყმედს, და ვტანჯო თუ, არა თავს-იდებს. უკუეთუ შევანუხო, მეცა ჭირსა შთავგარდები, უკუეთუ მოვაუძღურო იგი, არა მაქუს სხუად, რომლითამცა მოვიგენ სათნოებანი. მასვე ვჰბრძავცა და

მიყუარსცა, ვსდევნი და შევიტკობცა. ეჰა საკვრველი! რად არს ჩემი ესე საიდუმლოდ, რად არს სიტყუად ჩემისა ამის შეზავებულებისად?! ვითარ მტერიცა ვარ თავისა თვისისად და მოყუარც?!

118. მეტყოდე შენვე, მეტყოდე, ზ, ჩემო მეუღლეო, ზ, ჩემო ბუნებო! რამეთუ არა მნებავს სხვსაგან სწავლაჲ შენთვის, გარნა შენვე მითხარ, ვითარ განვერე შენგან მოუნყლველად, ვითარ შეუძლო ბუნებითა მათ ბრძოლათა შენმიერთა განდევნად, ვინაჲთგან შენდა მომართ მტერობაჲ აღმითქუამს ქრისტესდა? ვითარ მძლე-ვექმნა შენსა მძლავრებასა, ვინაჲთგან მნებავს, რადთამცა მაიძულებელ შენდა ვიყავ?

119. ხოლო იგი სულისა მიმართ თვისისა ესრეთ იტყვს, ვითარმედ: „არარად გითხრა ესევეითარი, რომელსა შენ უმეცარ ხარ, არამედ რად-იგი ორთავე ვიცით: მე გარეგანისა მჭურვალებისა მამად მაქუს ჩემი განსუენებაჲ და შუებაჲ, ხოლო შინაგანისა აღძრვისა – პირველ-ქმნულნი საქმენი და ჩუეულებანი. მე მიუდგე რად, ვშობ დაცემათა, ხოლო იგინი, იშვნენ რად, შობენ სასონარკუეთილებისა მიერ სიკუდილსა. უკუეთუ გულისჯმა-ჰყო და სცნა კეთილად ჩემი და შენი უძლურებაჲ, შეგიკრვან ჯელნი ჩემნი. უკუეთუ მოაყმო მუცელი, შეგიკრვან ფერჯნი ჩემნი, რადთა წალმართ ვერლარა ვიდოდი. უკუეთუ შეეყო მორჩილებასა, ჩემგან განშორებულ ხარ. და უკუეთუ მოიგო სიმდაბლც, ჩემი თავი მოგიკუეთიეს, რამეთუ გაქუს შენვენად უფლისამიერი“, რომლისად არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეთხუთმეტც კიბც არს. რომელი ჯორცთა შინა იყოს და ამას მიინოს სინმიდისა კიბესა, იგი მომკუდარ არს და აღდგომილ და საუკუნოჲსა მის უხრწნელებისა სახც აქავე მოუდიეს.

ვეცხლისმოყუარებისათვის

თავი 16

1. მრავალთა ბრძენთა და სულიერთა მოლუანეთა შემდგომად პირველთქუმულისა მის მძლავრისა, ესე მრავალთავი ვეშაპი დაანესეს თქუმულთა შინა მათთა. და რადთა არა შევცვალოთ წესი იგი ბრძენთად მათ ჩუენ უგუნურთა, ამისთვის მათსავე წესსა შეუდგით. ან უკუე მცირედი ვთქუათ სენისა ამისთვის, და მერმე ვთქუათ სიმრთელისათვის.

2. ვეცხლისმოყუარებად თაყუანისცემად არს კერპთად და ასული არს ურწმუნობისად, წინაღწარმეტყუელი არს უძღურებისად, ცრუდ მოშიში არს სიბერისაგან, მაუნყებელი არს სიყმილისად, მომაწსენებელი უწმკროებისად, დედად არს ყოველთა ბოროტთად.

3. ვეცხლისმოყუარვ შეურაცხმყოფელი არს სახარებისად და ნებსით გარდამავალი მცნებასა მისსა.

4. რომელმან მოიგო სიყუარული, მან განაბნინა საფასენი, ხოლო რომელი იტყოდის თუ ორივე მაქუნდესო, იგი თავსა თვსსა აცთუნებს.

5. რომელი იგლოვდეს თავსა თვსსა, მან მოიძუნეს ჯორცნიცა თვსნი, და უკუეთუ მოინიოს ჟამი, არცა მათ ჰრიდოს.

6. ნუ იტყვ, თუ გლახაკათავს შევჰკრებ, რამეთუ ორთა დანგთა სასუფეველი ცათად მოიყიდეს.

7. უცხოთმოყუარვ და საწმართმოყუარვ ურთიერთას შეიმთხვნეს და მეორვ იგი პირველსა მას უგუნურად და ამოეობით წარმგებელად სახელ-სდებდა.

8. რომელი მძლე-ექმნას ამას ვნებასა, მან ზრუნვანი მოიკუეთნა, ხოლო რომელი ამისგან შეკრულ იყოს, ვეროდეს ილოცოს წმიდითა გულითა.

9. დასაბამი ვეცხლისმოყუარებისად არნ გულისსიტყუად

მონყალებიჲსად, ხოლო აღსასრული მისი არნ სიძულილი გლახაკთად.

10. ვიდრემდის შეჰკრებნ, მონყალებასა უქადებნ, ხოლო შე-რად-კრიბის საფასჲ, შეეკრნიან ჴელნი.

11. ვიხილენ გლახაკნი საფასითა, რომელნი განმდიდრ-დეს სულითა და ჴორციელი იგი ჴირი დაავინყდა სიხარუ-ლითა მით.

12. მონაზონი საჴმართმოყუარჲ უცხო არნ მონყინებისა-გან, რამეთუ მარადლე შურებინ და იჴსენებნ სიტყუასა მას მოციქულისასა, რომელსა იტყჴს, ვითარმედ: „უქმი იგი ნუ ჴამნ“ (2 თეს. 3,10), და „ჴელნი ჩემნი მსახურებდეს მე და რომელნი იყვნეს ჩემ თანა“ (საქმე 20,34).

ესე მეთექუსმეტჲ ძლევაჲ არს ვნებათად. რომელმან მო-იგოს ესე, მას სიყუარული მოუგიეს და ზრუნვანი მოუნყუე-დიან.

უპოვარებისათვის

თაზი 17

1. უპოვარებად განშორებად არს ურვათაგან, უზრუნველობად არს ცხორებისად, მოგზაურებად არს დაუბრკოლებელი, და სარწმუნოებად არს მცნებათა უფლისათად და უცხოებად მნუხარებისაგან.

2. მონაზონი უპოვარი მეფე არს ამის სანუთროდსად, და ზრუნვად მისი ღმრთისა მიმართ არს და სარწმუნოებითა მისითა ყოველნივე მონა მისა არიან. არავის რას ეტყუნ საჭმრისათვის და ყოველსავე მოიღებნ ჴელისაგან ღმრთისა.

3. მონაზონი უპოვარი შვილი არს უვნებელობისად, რამეთუ რად-იგი აქუნ, ესრეთ შეერაცხის, ვითარმცა არა ჰქონდა. და უკუეთუ ვნებად სულისად იხილის, მას ადგილსა საჭმარნი იგი ნაგევად შეჰრაცხნის. ხოლო რომელსა აქუნ მნუხარებად რომლისავე ჴორციელისა საქმისათვის, იგი არა უპოვარი არს.

4. მონაზონისა უპოვრისა ლოცვად წმიდა არს, ხოლო საჭმართმოყუარჴ ნივთთა მიმართ სოფლისათა ილოცავნ.

5. მორჩილებასა შინა მყოფნი ვეცხლისმოყუარებისაგან უცხო არიან, რამეთუ რომელთა თავნი თვსნი უარუყოფიან, სხუადმცა რად მოიგეს თვსი?

6. ერთი ოდენ არს უპოვართათვის საკრძალავ, რამეთუ მიმოსღვისაგან ადრე იძლევიან, რომელთა არა აქუნდეს სიმრავლჴ საჭმართად.

7. ვიხილენ საჭმარნი, რამეთუ მოთმინებად ასწავეს მონაზონსა სიყუარულითა თვსითა, ხოლო მე მათ უმეტესად ვჰნატრე, რომელნი უფლისათვის ვლენ, ვიდრელა რომელნი საჭმართათვის დგანან. უკუეთუ კულა უფლისა სიყუარულისათვის იყოს მოთმინებად მათი, იგინი სანატრელ არიან.

8. რომელსა ეხილოს გემოდ სიტკბოებისა მის ზეცად-

თაქსად, მან ადვილად შეურაცხ-ყვენეს მონაგებნი, ხოლო რომელსა მისი გემოდ არა უხილავს, იგი საფასეთა ზედა იხარებნ.

9. რომელი უმეცრებით და უგულისწმოდ, პირუტყუებრ გლახაკ იყოს, მას ორივე დაშჭირდა, რამეთუ სანუთროდ ესე წარწყმიდა და საუკუნესა ვერ მიემთხვა.

10. ნუ ვიყოფით, ზ, მონაზონნო, სარწმუნოებითა უნაკლულეს მფრინველთასა, რამეთუ არა ზრუნვენ იგინი, არცა შეიკრებენ, და ჰრწამს მისი, რომელი-იგი ზრდის მათ – უფალი უფლებათად.

11. დიდ არს, რომელმან ღმრთისათვის დაუტევნეს მონაგებნი, ხოლო წმიდა არს, რომელმან დაუტეოს ნებად თვისი, რამეთუ მან ასი წილი მოიგოს – ანუ საჭმარნი, ანუ მადლნი, ხოლო ამან უზეშთაესი დიდებად დაიმკვდროს ცხორებასა მას საუკუნესა.

12. არა მოაკლდენ ზღუასა ღელვანი, არცა ვეცხლის-მოყუარესა – რისხვად და მწუხარებად.

13. რომელმან შეურაცხ-ყვენეს მონაგებნი, იგი განრომილ არს სიტყვსგებისა და ცილობისაგან და შფოთისა, ხოლო საჭმართმოყუარე წემსისათვის ვიდრე სიკუდილმდე ირჩინ.

14. სარწმუნობამან მტკიცემან მოსპოლნეს ზრუნვანი, და წსენებამან სიკუდილისამან უარ-აყოფინნეს ჯორცნიცა.

15. არა იყო იობს თანა ყოვლადვე კუალიცა ვეცხლის-მოყუარებისად, ამისთვის რაჟამს ყოველივე წარუჭდა, შეუნუხებელად ეგო.

16. „ძირი არს ყოველთა ბოროტთად ვეცხლისმოყუარებად“ (1 ტიმ. 6,10), და ესრეთცა ეწოდების, რამეთუ სიძულილი და მპარვობანი და კაცისკლვანი და შფოთნი და მტერობანი და ძვრისწსენებანი და უწყალოებანი და შურნი მან ქმნა.

17. მცირითა ცეცხლითა ვიეთმე მრავალი ნივთი დანუეს, და ერთითა სათნოებითა მრავალნი ამათ ყოველთა ვნებათა

განერნეს. და მას ეწოდების სიძულილი მონაგებთაჲ. ხოლო ესე იშვების გემოდსხილვითა გულისჴმის-ყოფისა ღმრთისაჲთა და ზრუნვითა სიტყვსგებისა მის, რომელი ყოფად არს ჟამსა მას სიკუდილისა ჩუენისასა.

18. არა უმეცარ არს, რომელსა კეთილად აღმოეკითხოს სიტყუად დედისა მის ყოველთა ბოროტთაჲსა, რომელ არს ნაყროვანებაჲ, რამეთუ იგი უკეთური იტყოდა, ვითარმედ მეორჴ ნაშობი მისი არს უღმობელობაჲ და გულფიცხელობაჲ. ხოლო დამაყენა, რაჲთამცა თჴსი წესი მიმეცა მისდა მრავალთავმან მან კერპთმსახურებისა გუელმან, რამეთუ მესამჴ ადგილი მიუღებეს მამათაგან რვათა მათ ბოროტთა ჯაჴუსა შინა, რომლისათჴსცა მცირედი ესე ვთქუთ. და აწ გუნებაჴს თქუმად გულფიცხელობისათჴს და უღმობელობისა, და მერმე – ძილისათჴს და მღჴძარებისა, და კუალად – მოშიშებისათჴს ბოროტისა, რამეთუ ესე ყოველნი სენნი ახალმოსრულთანი არიან, რომელთაგან გჴჴხსნენინ უფალმან ყოველნივე, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნიითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე მეთრჴდმეტჴ ღუანლი არს. რომელმან ესე მოიგოს, იგი ზეცად დაუყენებელად აღვიდეს.

გულფიცხელობისათვის და ულმობელობისა,
რომელი-იგი სიკუდილი არს სულისაჲ პირველ
სიკუდილისა ხორცთაჲსა

თავი 18

1. გულფიცხელობაჲ სიკუდილი არს გონებისაჲ და მკლ-
ველი სულისაჲ.

2. გულფიცხელობაჲ იშვების მყოარ-ჟამისა უდებებისა-
გან, ხოლო უდებებაჲ მოვალს მოცალეებისაგან და სიყუარუ-
ლისაგან მცონარებისა.

3. ულმობელობაჲ უდებებაჲ არს დამტკიცებული, სი-
ბრმე არს გონებისაჲ და მშობელი ბოროტთა ჩუეულება-
თაჲ, და საფრეც მოსწრაფებისაჲ და მახე მოლუანებისაჲ, და
მტერი ღმობიერებისაჲ, და კარი სასონარკუეთილებისაჲ,
დედაჲ და ვინყებისაჲ და შვილი უშიშობისა ღმრთისაჲ, და
შემდგომად შობისა დედაჲ დედისა თვისაჲ.

4. გულფიცხელი და ულმობელი ფილაფოზი არს უგუ-
ნური, მოძღუარი არს თვთ და შვილი, თავისა თვისსა წი-
ნაღმდგომი მეტყუელი; წინამძღუარი არს ბრმაჲ – თვთ
ვერ ხედავენ და სხუათა ხედვასა ასწავებენ; სიმრთელისათვის
წყლულებათაჲსა იტყვენ და თვთ დაუცადებელად თავსა
თვისსა მოსწყლავენ; სენისა კურნებასა იტყვენ და მავნებელი-
სა ჭამასა არა დააცადებენ; ვნებათა შეაჩუენებენ და მეყსეუ-
ლად მუნვე მიაქციის; საქმესა ზედა ბოროტსა განრისხ-
ნის და თვთსა სიტყუათაგან არა ჰრცხუენინ უბადრუკსა;
ბოროტსა რაჲ იქმნ, გულისგმა-ყოფნ და მასვე შინა არნ;
პირითა კეთილისა ქმნასა აღუთქუამნ და საქმით ბოროტსა
იქმნ; სიკუდილისათვის სიბრძნისმეტყუელეზნ და ვითარცა
უკუდავი, ესრეთ იყოფებინ; ამიერ განსღვისათვის სულთ-
ითქუამნ და, ვითარცა საუკუნესა და წარუვალსა, ჰრუ-
ლინ; მარხვისათვის იტყვენ და ნაყროვანებისათვის ილუნინ;

საშჯელისათვის იკითხავნ და ღიმილად იწყის; ზუაობისათვის იკითხავნ და კითხვასავე მას შინა ზუაობნ; მღვდარებისათვის ესმინ და თავი თვისი ძილსა მისცის; ლოცვასა შეასხამნ და ვითარცა ცეცხლისაგან ივლტინ მისგან; მორჩილებასა ჰნატრინ და ყოვლისა პირველად თვთ ურჩ არნ; მონაგებთა სიძულილსა აქებნ და ძონძისათვის შეურაცხისა შფოთის ყოფად არა ჰრცხუენინ. აღშფოთნის რად, განრისხნის, და განრისხებისა მისთვის კუალად განრისხნის; და ძლევასა ზედა ძლევასა შესძინებნ და ვერ გულისწმა-ყოფნ; განძლის რად, ინანინ, და ვითარცა ჟამი ერთი გარდახდის, კუალად ჭამნ; დუმილსა ჰნატრინ და მრავალმეტყუელებისა მიერ შეასხამნ მას; სიმშკდისათვის ასწავებნ და სწავლასავე შინა თვისსა განრისხნის; განიფრთხვის რად, სულთ-ითქუნის და თავი დაინონის და მასვე შინა არნ ვნებასა; სიცილსა სძაგებნ და სიცილით გლოვისათვის ასწავლინ; თავსა თვისსა წინაშე კაცთასა, ვითარცა მზუაობარსა, შეასმენს და შესმენითა მით თვისითა კაცთაგან ქებასა მოიყიდინ; ვნებულად პირსა ხედავენ და სინმიდისათვის ასწავლინ; დაყუდებულთა აქებნ და თვთ სოფელთა შინა იქცევინ და არა ჰრცხუენინ; მოწყალეთა აღიდებნ და გლახაკთა აყუედრებნ; ყოვლადვე შემასმენელ თავისა თვისისა იქმნებინ და გულისწმის-ყოფად მოსლვად არა ჰნებავენ.

5. ვიხილენ მე ესევითარნი მრავალნი, რამეთუ ესმოდა სიკუდილისათვის და სატანჯველთათვის საუკუნეთა და ცრემლოოდეს. და ვიდრელა ცრემლნი თუალთა მათთა იყვნეს, მოსწრაფედ ტაბლისა მიმართ მირბიოდეს. და დამიკვრდა, თუ ვითარ გლოვასაცა მძლე-ექმნა ესე მწარწ დედოფალი და სიმყრალისა საუნჯწ მუცელი, განძლიერებული უღმობელობისა მიერ.

6. მცირედისა ამის და უძღურისა ძალისა ჩემისა-ებრ კლდის მსგავსისა ამის და რკინისა უფიცხისა მძღავრისა მზაკუვარებანი და წყლულეებანი და საქმენი გამო-

მიცხადებიან, რამეთუ ფრიად მრავლისმეტყუელებად მის-
თვს ვერ ძალ-მიც. ხოლო რომელსა ძალ-უც უფლისა მიერ
დადებად წამალისა წყლულებათა მათ ზედა მის მიერთა, ნუ
უდებ იქმნები დადებად, რამეთუ არა მრცხუენის ამას ზედა
უძლურებისა შეწამებად, ვითარცა შეპყრობილსა მის მიერ
ძლიერად, არცა შეუძლე თავით ჩემით ღონეთა და მზაკუვა-
რებათა მისთა ცნობად, უკუეთუმცა არა თვთ მისდავე აღ-
სარებად მეცა.

7. ხოლო რაჟამს ვტანჯე იგი ტანჯვითა შიშისა ღმრთი-
სადათა და დაუცადებელისა ლოცვისა მიერ, ამისთვისცა
იტყოდა მძლავრი იგი და ბოროტისმოქმედი, ვითარმედ:
„ჩემთა მეგობართა, იხილნიან რაჲ მკუდარნი, იცინოდნიან,
და ლოცვასა შინა ვითარცა ქვანი იყვნიან – გულფიცხელ და
დაბნელებულ. და წინაშე წმიდისა საკურთხეველისა დგი-
ან რაჲ, უგულისწმო იყვნიან; და მიიღებდიან რაჲ წმიდათა
საიდუმლოთა, ვითარცა ლიტონისა პურისა ჭამასა ზედა,
ესრეთ იყვნიან. მე ღმობიერებისა მტერი ვარ და ყოველ-
თა მათ კეთილთა, რომელნი ახოვნებისა და მოსწრაფებისა
მიერ იშვებიან, მოკლვად მათი მისწავიეს მამისაგან ჩემი-
სა. მე სიცილისა დედად ვარ; მე მშობელი ვარ ძილისა და
მეგობარი სიმაძღრისა; მე მაჩუენებლობისა მოყუასი ვარ;
მე ვიყუედრებოდი რაჲ, არა მელმინ, არცა ვისმენ სწავ-
ლასა“. ხოლო მესმა რაჲ ესე უბადრუკსა ამას და დამიკრ-
დეს სიტყუანი იგი მის ბორგნეულისანი, და ვკითხვედ სა-
ხელსა დედისა მისისასა. ხოლო იგი იტყოდა, ვითარმედ:
„მე ერთი შობად არა მაქუს, არამედ მრავალფერი არს და
დაუდგრომელი ჩემი შობად. მე ძალ-მცემს სიმაძღრე, მე აღ-
მაროძინებს ჟამისა სიგრძე, მე განმამტკიცებს ჩუეულება
ბოროტი, და რომელსა აქუნდეს იგი, ვერ განთავისუფლდეს
ჩემგან. არამედ იწურთიდ მარადის მღკძარებითა ფრიადითა
საშჯელსა საუკუნესა, ნუუკუე მცირედ გილხინოს შენ, და
გულისწმა-ჰყოფდ დედასა ჩემსა შენ შორის, თუ ვინად ვი-

შუები, და მას ჰბრძოდე, რამეთუ არა-თუ ერთისა დედისა მიერ ვიშვები ყოველთა შორის.

8. საფლანთა შინა ილოცევდ ზედაჲს-ზედა და ხატებსა მკუდართა გამოისახევდ გულსა შენსა აღუწოცელად. რამეთუ, უკუეთუ ესე არა დასწერო შენ შორის საწერელითა მარხვისაჲთა, ვერ მძლო მე უკუნიითი-უკუნისამდე“.

ესე მეთრვამეტჲ ძლევაჲ არს. რომელმან სძლოს მას, მოუგიეს გლოვაჲ და ცრემლი.

ძილისათვის და მრავალთა თანა ლოცვისათვის

თავი 19

1. ძილი სიმტკიცე არს ბუნებისად და ხატი არს სიკუდილისად და უქმობად არს საცნობელთად.

2. ერთი არს ძილი და მრავალნი ჰქონან განყოფილებანი, ვითარცა-იგი გულისთქუმასაცა. რამეთუ იქმნების ბუნებისაგან და ჭამადთაგან და ეშმაკთაგან, და ოდესვე – ფრიადისა მარხვისაგან, რომლისა მიერ მოუძღურდიან ჯორცნი, და მერმე ძილისა მიერ ნუგეშინის-იცემედ თავსა თვსსა.

3. ვითარცა ფრიად სუმად სასუმელისად ჩუეულებასა ზედა არს, ეგრეთვე ფრიადიცა მოძილობად ჩუეულებისაგან იქმნების. ამისთვისცა უფრო ხოლო დასაბამსა მონაზონებისასა ვილუნიდეთ მისა მიმართ, რამეთუ ჩუეულებისა მონყუედად ძნელ არს.

4. გულისწმა-ვყოთ და ვპოოთ, რამეთუ რაჟამს-იგი დასციან ნესტუსა მას სულიერსა, რომელ არს ჟამისრეკად, მაშინ ხილულად შეკრბებოდიან ძმანი ლოცვად და უხილავად შეკრბებოდიან მტერნი ბრძოლად. ამისთვისცა შემდგომად რეკისა ზედა-მოგუადგიან ეშმაკნი და გუეტყყედ: „ნუთ ერთ განისუენე ვიდრე პირველისა ფსალმუნისა წართქუმადმდე და მერმე წარხვდე ეკლესიად“. და კუალად, სხუანი ეშმაკნი არიან, რომელ, მივიდით რად ლოცვად, დამთქნიან ძილითა და საწმრისა მიმართ ჯორცთაჲსა ზედაჲსზედა მიგვზიდვიან განსლვად გარეგან ჩუეულებისა. სხუანი უბნობად გუანუევდიან ეკლესიასა შინა, სხუანი გონებასა ჩუენსა შეგინებულთა მიმართ გულისსიტყუათა წარიტაცებდიან, სხუანი კედელსა მიგუაყრდნობდიან, ვითარცა მოუძღურებულთა და მრავალგზის ფქნარებასა უზომოდ მოგვკლენდიან. და რომელნიმე მათგანნი სიცილისა ყოფად ისწრაფდიან ლოცვასა შინა, რადთამცა მის მიერ რისხვად აღძრეს ღმერთი ჩუენ ზედა. სხუანი გუაიძულებდიან

სწრაფად დავითისა თქუმასა შინა; სხუანი გუაზუაობედ ჟამობასა ზედა; სხუანი გემოთმოყუარებად აღგუძრვედ ჟამობისა მიერ. და კუალად, მათგანნი რომელნიმე პირთა ზედა ჩუენთა დაგუეცნიან და არა შეგკნდობედ აღებად პირისა და ლოცვად.

5. რომელმან დაიდვას გონებასა თვისსა სიმტკიცითა გულისადათა და ესრეთ ხედვიდეს, ვითარმედ ჭეშმარიტად წინაშე ღმრთისა მდგომარე არს, რაჟამს ილოცვიდეს, ეგვეითარი, ვითარცა სუეტი დგეს შეურყეველად, და არა ევენბოდის მას ერთისაცა ამათ პირველ თქუმულთაგანისა.

6. ჭეშმარიტი მორჩილი მრავალგზის და-რად-დგის ლოცვად, ყოვლითურთ განათლებულ და სიხარულითა სავსე იქმნის, რამეთუ პირველვე განმზადებულ იყო უზაკუველითა მით მორჩილებითა და მსახურებითა და განჭურვებულ იყო მის მიერ მოღუანწ იგი.

7. ვჰგონებ, თუ სიმრავლესა თანა ლოცვად ყოველთა მიერ შესაძლებელ არს, ხოლო მრავალთათკს უმჯობეს არს ერთისა თანა ოდენ ლოცვად, რამეთუ მარტოდ ლოცვად მცირედთად არს ფრიად.

8. რაჟამს სიმრავლესა თანა ილოცვიდე, ვერ შეუძლო უნივთოხსა მის და მალლისა ლოცვისა აღსრულებად. არამედ აქუნდინ გონებასა შენსა საქმედ გულისწმის-ყოფად სიტყუათად მათ, რომელთა ჰგალობდე, ანუ-თუ კუალად გაქუნდინ დანესებული რადმე ლოცვად, რადთა ვიდრემდის მოყუასი მუჯლსა დაასრულებდეს, შენ გულსა შენსა მას იტყოდე, რაჟამს მუჯლპყრობით ჰგალობდეთ.

9. ყოვლადვე არავისთკს ჯერ არს, რადთამცა ლოცვასა შინა საქმესა იქმოდა, რამეთუ ესე კეთილად გუასწავა ანგელოზმან მან, რომელი ნეტარისა ანტონისა მოვიდა, რამეთუ იქმნ ჴელთსაქმარსა და მერმე აღდგის ლოცვად.

10. გამოსცდის ცეცხლი ოქროსა და დგომად ლოცვასა შინა – კრძალვასა მონაზონისასა და სიყუარულსა ღმრთისა მიმართ, რომლისად არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მღკდარებისათვის წორცთადასა,
რომლისაგან იშვების მღკდარებად სულისაჲ

თავი 20

1. წინაშე მეფეთა ქუეყანისათა რომელნიმე უჭურველად დგანედ და პატივით, და რომელნიმე – კუერთხებითა, და რომელნიმე – წმლოსანნი და შეჭურვილნი. ხოლო ფრიადი განყოფილებაჲ არს პირველთაჲ მათ ამათ უკუანადსკნელთაგან, რამეთუ უზეშთაესსა პატივსა და წესსა უაღრესსა არიან, ვიდრეღა მეორენი ესე და მესამენი, რამეთუ საყუარელნი და გულითადნი არიან იგინი მეფისანი. ხოლო ჩუენცა მოვედით და ვიხილოთ, თუ ვითარ ვჰყოფთ დგომასა ჩუენსა წინაშე ღმრთისა და მეუფისა ლოცვათა მათ შინა მწუხრისათა და დღისათა და ღამისათა. რამეთუ ვიეთნიმე მღკდარებასა შინა ღამისასა უნივთოდ და შიშულად ყოვლისაგანვე ზრუნვისა წელგანჰყრობით დგანან ლოცვასა შინა, და სხუანი ფსალმუნებითა გარდაიწდიან მღკდარებასა მათსა, და სხუანი წიგნისკითხვასა შინა არიედ, და რომელნიმე წელთსაქმრითა ეწყებებიედ ძილსა, და სხუანი წსენებითა სიკუდილისაჲთა აღასრულებენ ღამესა, რაჲთა მის მიერ მოიღონ ღმობიერებაჲ. ამათ ყოველთაგან პირველნი და უკუანადსკნელნი დიდითა საზომითა სიყუარულისა ღმრთისაჲთა იღჰკებენ; ხოლო მეორენი იგი და მესამენი, რომელნი ფსალმუნებენ და იკითხვენ, იგინი გზასა შინა მონაზონებისასავე არიან, ხოლო რომელნი წელთსაქმარსა შინა იღჰკებენ, მათ უდარესი გზაჲ უპოვნიეს, გარნა ღმერთი გულისსიტყუსა და ძალისაებრ შეინწირავს შრომათა და მისცემს მადლთა.

2. თუალმან მღკდარემან განწმიდა გონებაჲ, ხოლო სიმრავლემან ძილისამან განაფიცხა გული და დააბნელა სული.

3. მონაზონი მღკდარჲ მტერი არს სიძვისაჲ, ხოლო მოძილი – მეგობარი არს მისი.

4. მღვდარებად შემუსრვად არს გულფიცხელობისად, განთავისუფლებად არს სიზმართაგან, მომხდელი არს ტირილისად, დამამდაბლებელი არს გულისად, მცველი არს გულისსიტყუათად, მომადნობელი ჭამადთად, მტანჯველი ეშმაკთად, აღკრი ენისად და მაოტებელი უცნებათად.

5. მონაზონი მღვდარც მონადირე არს გულისსიტყუათად და ადვილად შეუძლის მყუდროებასა შინა ღამისასა ხედვად და შეპყრობად მათდა.

6. მონაზონმან ღმრთისმოყუარემან, რაჟამს ჰრეკიან ჟამსა, თქვს: „ვაშა, ვაშა, რამეთუ კეთილ!“ ხოლო უდებმან და მედგარმან თქვს: „ვაიმე, ვაიმე, რამეთუ მცონის!“

7. განმზადებულებამან ტაბლისამან გამოცადნის ნაყროვანნი და მოლუანებამან ლოცვისამან გამოცადნის ღმრთისმოყუარენი.

8. ნაყროვანმან, ვითარცა იხილის ტაბლად, ხლდომით მიისწრაფინ, ხოლო რომელსა უყუარნ ლოცვად, გკანობნ იგი მისლვად.

9. ძილი ფრიადი მომატყუებელი არს დავინწყებისად, ხოლო მღვდარებად განსწმედს გონებასა.

10. სიმდიდრც მუშაკთად კალოსა და საწნეხელსა შინა შეკრებების, ხოლო სიმდიდრც და გულისწმის-ყოფად მონაზონთად ლოცვათა შინა ღამისათა და ხედვათა გონებისათა შეკრების.

11. ძილი ფრიადი მეუღლე არს ბოროტი, რამეთუ ნახევარსა ცხორებისა მის უდებთაჲსა წარიტაცებს მათგან.

12. მონაზონი გამოუცდელი მღვდარე არნ ზღაპართა შინა, და რაჟამს ჟამი ლოცვისად მოიწიის, თუალნი მისნი დამძიმდიან.

13. მონაზონი დაწსნილი მრავლისმეტყუელებასა შინა გამოცდილ და მოსწრაფე არნ, და წიგნისკითხვად რად წარმოიღიან, ვერღარა აღიხილნის თუალნი ძილისაგან ფრიადისა.

14. ჳმად საყკრისად მკუდართა აღადგენს, და სიტყუანი ცუდნი განალკძებენ ძილსა უდებთაგან და დაწსნილთა.

15. მზაკუფარი მეგობარი არს ძილისა მძლავრი, რამეთუ ჭამისა და სუმისა ჟამსა მიგურიდის, და ჟამსა მარხვისა და ლოცვისასა გუბრძავნ ძლიერად.

16. ჟამსა ლოცვისასა მოაგონებს ქმნად ჳელთსაქმრისა, რადთამცა მის მიერ იოტა ძილი.

17. ახლადმოსრულთა მონაზონებად ფიცხლად ჳბრძავნ, რადთა პირველითგანვე დაწსნილობად ასწაოს, ანუ რადთა სიძვისა ეშმაკსა მოუმზადნეს.

18. ვიდრემდის ამისგან განვთავისუფლდეთ, მრავალთა თანა ლოცვასა ნუ უდებ-ვჳყოფთ, რამეთუ მრავალგზის სირცხვლისაგან არა მივსცნით თავნი ჩუენნი ძილად.

19. მტერი ყურდგლისად ძალი არს და მტერი ძილისად – ზუაობისა ეშმაკი.

20. შემდგომად ვაჭრობისა აღრიცხვს ვაჭარმან სარგებელი თვისი, და მღკძარემან და მოსწრაფემან მონაზონმან შემდგომად კანონისა თვისისა აღრაცხის სარგებელი თვისი.

21. განიფრთხვე შემდგომად ლოცვისა მოსწრაფებით და მაშინ იხილო სიმრავლჳ ეშმაკთად, დასხმული ჩუენ ზედა, რადთამცა დასთესნეს ჩუენ შორის გულისსიტყუანი ბილნებისანი. რამეთუ შურს-იგებდიან მის წილ, რომელ ვენყვებოდეთ ლოცვასა შინა.

22. კუალად დაჯედ მცველად და იხილნე, რომელნი მარადის განმზადებულ არიან აღტაცებად პირმშოთა ნაყოფთა სულისათა.

23. მრავალგზის ჩუეულებისაგან ძილსა შინა ვინურთიდით სიტყუათა მათ ფსალმუნთასა და კუალად მრავალგზის ეშმაკთა ქმნიან ესე, რადთამცა ამჳარტავანებად მოგკყვანნეს. ხოლო მესამისა მის თქუმად არა მენება, არამედ მაიძულა ვინმე თქუმად, ვითარმედ სული, რომელი სიტყუათა უფლისათა დაუცადებელად ინურთიდეს, ძილსაცა შინა

მასვე შინა არნ, რამეთუ უფალი პირველისა მისთვის მეორესა ამას მოჰმადლებს საოტებელად უცნებათა სულთა ბოროტ-თაჲსა.

24. უკუეთუ კრებულსა შინა ძმათასა იყოფები და მუნ აღასრულებდე მღვდარებისა სათნობასა, არა ფრიად გებრძოლოს შენ ეშმაკი მოშიშებისაჲ. უკუეთუ კულა სადაყუდებულთა ადგილთა განშორებულად იყოფები, ისწრაფე, რადთა არა გეუფლოს ნაშობი იგი ცუდადმზუაობრობისაჲ და ასული ურწმუნოებისაჲ, რომელ არს მოშიშებაჲ, რომელსა მძლე-ვექმნეთ, უკუეთუ უფლისა მივივლტოდით მარადის, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

მოშიშებისათვის

თაზი 21

1. მოშიშებად ჩუენულებად არს ყრმებრი სულსა შინა ცუ-
დადმზუაობარსა.

2. მოშიშებად მიდრეკაჲ არს სარნმუნოებისაგან მოლო-
დებითა მოულოდებელთაჲთა.

3. მოშიში უნინარეს შემთხუევისა იგონებნ ძნელთანთა.

4. მოშიში შეჰმუსრავს გულსა თვსსა შიშითა უცნება-
თაჲთა.

5. მოშიშებად დამჰსნელი არს სასოებათაჲ.

6. სული ამჰარტავანი მონაჲ არს მოშიშებისაჲ, რამეთუ
ესავენ ძალსა თვსსა და ესმის რაჲ ჳმაჲ რაჲმე, მეყსეულად
შეძრუნუნდის.

7. მგლოვარეთა და ტკივნეულთა გულითა არა იციან
შიში ყოვლადეჲ; ხოლო ამჰარტავანნი მრავალნი შიშისაგან
განცუბრდეს, რამეთუ სამართლად მისცემს უფალი ამჰარ-
ტავანთა განსწავლად, რაჲთა სხუანიცა შეშინდენ მათ მიერ
და ისწაონ სიმდაბლჳ.

8. ყოველი მოშიში ცუდადმზუაობარ არს, ხოლო არა-
თუ ყოველი, რომელსა არა ეშინის, მდაბალი არს, რამეთუ
ავაზაკნიცა და საფლავის მჰკუერველნი არა შეშინდებიან
ადრე.

9. ადგილთა შინა, რომელთა გეშინოდის, ნუ გცონის
მუნ მისლვად ლამით. უკუეთუ კულა ადგილ-სცემდე ეშმაკ-
სა ამას, დაბერდეს შენ თანა ყრმებური ესე და საკიცხელი
სახლჳ.

10. მი-რაჲ-ხვდოდე, აღიჰურე ლოცვითა, და მი-რაჲ-ინიო
ადგილსა მას, განიპყრენ ჳელნი და ტანჯენ მტერნი სახელი-
თა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, რამეთუ არა არს

ცათა შინა, არცა ქუეყანასა ზედა საჭურველი უძლიერესი მისსა.

11. რაჟამს განთავისუფლდე სენისა მისგან, ადიდებდ მწსნელსა მას, რამეთუ უკუეთუ ჰმადლობდე მას, უკუნისამდე დაგიცვას შენ.

12. ვერ უძლო ერთგზის მუცლისა აღვსებად, რადთამცა უკუნისამდე არლარა ევმარებოდა ჭამად, და ვერცა შეუძლო ერთგზის ძლევად მოშიშებისა, რადთამცა არლარაოდეს მოგიწადა.

13. საზომისაებრ გლოვისა ესე წარიდევნების, და რად-ზომცა იგი მოგუაკლდებოდის, მოშიშებად განმრავლდების.

14. „განჰკრთა გუამი ჩემი და შეძრწუნდეს თმანი ჩემნი“ (იოზ. 4,15), იტყოდა ელიფაზ მანქანებათა ზედა ამის მტერი-სათა, ეგრეთვე მე ვიტყვ.

15. ოდესმე პირველად სული შეშინდის, და ოდესმე პირველად – ჯორცნი, და მეორე იგი ზიარ-ყვის ვნებისა მის, რომელმანცა პირველად მიიღის იგი.

16. რაჟამს ჯორცნი შეძრწუნდენ და შიში იგი სულად არა შევიდეს, მაშინ ახლოს არს განთავისუფლებად სენისა მისგან. ხოლო რაჟამს ყოველთავე მოულოდებელთა ჭირთა და უცნებათა შემუსრვილითა გულითა უშიშად თავს-ვიდებდეთ და არარად შეგუერაცხოს ყოველივე, მაშინ ჭეშმარიტად მოშიშებისაგან განრომილ ვართ.

17. არა-თუ სიბნელე ღამისაჲ, ანუ უდაბნოებაჲ ადგილისაჲ განაძლიერებს ეშმაკთა ჩუენ ზედა, არამედ უნაყოფოებაჲ სულისაჲ, და ოდესვე – განგებულებითი სწავლაჲცა მიშუებისა ღმრთისაჲ.

18. რომელი მონაჲ უფლისაჲ იყოს, მას თვისისა მეუფისაგან ოდენ ეშინინ, ხოლო რომელსა მისგან არა ეშინოდის, იგი თვისისა აჩრდილისაგანცა შეშინდეს.

19. რაჟამს მოუწდის სული ბოროტი კაცსა, შეძრწუნდი-

ან ჯორცნი, ხოლო მოუჯდის რად ანგელოზი, იხარებნ სული სიმდაბლით. ამისთჳსცა უკუე შეტყუებად მოსლვისა მისისად ამით სასწაულითა გჳღირს, და მას ჟამსა მივისწრაფდეთ მეყსეულად ლოცვისა მიმართ, რამეთუ მცველი კეთილი მოვიდა ჩუენდა უფლისა მიერ, რომლისად არს დიდებაჲ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ცუდადმზუაობრობისათვის

თავი 22

1. რომელნიმე იტყვან, ვითარმედ ცუდადმზუაობრობად და ამპარტავანებად განყოფილნი არიან ურთიერთას, ამისთვის რვად სახელ-სდებენ თავთა მათ ვნებათა. რამეთუ პირველად ვნებად იტყვან ნაყროვანებასა, და მეორედ – სიძვასა, და მესამედ – ვეცხლისმოყუარებასა, და მეოთხედ – რისხვასა, მეხუთედ – მონყინებასა, და მეექუსედ – მნუხარებასა, მეშუდედ – ცუდადმზუაობრობასა, მერვედ – ამპარტავანებასა. ხოლო ღმრთისმეტყუელი გრიგოლი და სხუანი მრავალნი კუალად შუდად იტყვან ვნებათა მათ, რამეთუ ცუდადმზუაობრობასა და ამპარტავანებასა ერთად იტყვან, რომელთაჲ მე უფროდსად სათნო-მეყოფის. რამეთუ ვინ არს, რომელმანცა სძლო ცუდადმზუაობრობასა და იგიმცა იძლია ამპარტავანებისაგან? რამეთუ ეგოდენი განყოფილებაჲ აქუს ამათ ორთავე ურთიერთას, რაზომი განყოფილებაჲ აქუს ბუნებითა მცირესა ყრმასა მამაკაცისაგან სრულისა, ანუ-თუ იფქლსა – ფქვილისაგან. რამეთუ დასაბამი არს პირველი იგი, ხოლო აღსასრული – მეორეჲ ესე. ან უკუე დასაბამისა მისთვის და აღსასრულისა ვნებათაჲსა – არანმიდისა სიმაღლისათვის ვთქუათ ჟამსათვისსა მოკლედ, რამეთუ რომელი გრძელად სიბრძნის-მეტყუელებდეს მისთვის, მსგავს არს კაცსა, რომელი წონნ ქართა.

2. ცუდადმზუაობრობად სახითა თვისითა შეცვალებაჲ არს ბუნებისაჲ და გარდაქცევაჲ წესთა კეთილთაჲ და სივლტოლად ბრალობისაგან. ხოლო ბუნებითა მისითა – განმაბნეველი არს შრომითაჲ, და წარმწყმედელი ოფლთაჲ, მპარავი საუნჯეთა სულიერთაჲ, და ნაშობი ურწმუნოებისაჲ, და წინამორბედი ამპარტავანებისაჲ. ნავთსაყუდელთა შინა

დანთქმად არს, კალოსა შინა ჯინჭველი არს, რამეთუ ნური-ლი არს და ყოვლისავე ნაყოფისა და ნაშრომისა განმრყუნელი.

3. ჯინჭველი მოელის მონიფებასა იფქლისასა, და ცუდადმზუაობრობად ჰგებს, რადთა შეკრბეს სიმდიდრწ მონაზონისად.

4. ჯინჭველსა უხარინ, რადთა პოოს და მოიპაროს, ხოლო ცუდადმზუაობრობასა უხარინ, რადთა წარწყმიდოს და განაზნისოს.

5. ეშმაკი სასონარკუეთილებისად იხარებნ სიმრავლესა ზედა ბოროტთასა, ხოლო ეშმაკი ცუდადმზუაობრობისად – სიმრავლესა ზედა სათნოებათასა.

6. ასული პირველისად მის არს სიმრავლწ წყლულებათად, ხოლო ასული მეორისად მის – სიმრავლწ შრომათად.

7. გულისწმა-ჰყოფდ და ჰპოო უკეთური იგი ვიდრე საფლავადმდე დაუცაღებელი შენგან სამოსელსა შინა და სლვასა და ყოველსავე საქმესა.

8. ყოველთავე ზედა უშურველად ბრწყინავს მზწ, და ყოველთა საქმეთა შინა იპოების ცუდადმზუაობრობად. რამეთუ რაჟამს ვიმარხი, აღმიმალღდის გონებად ჩემი, ხოლო რაჟამს განვწსნი, რადთამცა არა საცნაურ იქმნა მარხვად ჩემი, კუალად ამას ზედა აღმიმალღდის გონებად ჩემი, ვითარმედ ბრძენ ვარ. რაჟამს შევიმოსი სამოსელი კეთილი, აღვმალღდი, და ოდეს შევიმოსი ძუელითა, აღმიმალღდისვე გონებად ჩემი. რაჟამს დავდუმნი, ვმალლოოდი, და რაჟამს აღვზრახდი, ეგრეთვე ვიყვი. სადათცა მიაგდო კუროდსთავი ესე ბოროტი, ყოველგნით ეკალი მისი აღემართების განმგურემელად სულისა.

9. ცუდადმზუაობარი ქრისტიანობასა შინა კერპთმსახური არს, რამეთუ მას ჰგონებნ, თუ ღმერთი ჰრწამს, არამედ კაცთა ისწრაფინ სათნო-ყოფად და არა ღმრთისა.

10. ცუდადმზუაობარი არს ყოველივე მაჩუენებელი, და

მარხვად მისი უსასყიდლოდ არს, და ლოცვად მისი – უსარგებლო, რამეთუ ორსავე კაცთა ქებისათჳს იქმს.

11. ცუდადმზუაობარი მოლუანჳ ორ-კერძოვე ივნებს, რამეთუ ჳორცთა თჳსთა სტანჯავს, და სასყიდელი არა აქუს.

12. ვინ არა ეცინოდის, და უფროხლა, ვინ არა ჳგოდებდეს მუშაკსა ცუდადმზუაობრობისასა? რამეთუ ლოცვად რად დგან, ოდესმე იცინინ მის მიერ, და ოდესმე ტირნ წინაშე ყოველთაჲსა.

13. მრავალგზის დაფარნის ღმერთმან ჩუენგან, დაღაცათუ რადმე სათნობანი გუქონდიან, რადთამცა მოვიგეთ სიმდაბლჳ. ხოლო კაცმან მაქებელმან და უფროხლა მაცთურმან, ქებისა მის მიერ თუალნი აღგვხილნის ხილვად სიმდიდრისა მის ჩუენისა, ხოლო იგინი რად აღგუეხილნიან, წარწყმდის და უჩინო იქმნის ყოველივე იგი სიმდიდრჳ.

14. კაცი მაქებელი პირსა მოციქული არს ეშმაკისად და წინამძღუარი ამჰარტავანებისად, უჩინომყოფელი ღმობიერებისად და წარწყმედელი კეთილთაჲ, მაცთური გზისად, რამეთუ რომელნი გუნატრიდენ ჩუენ, გუაცთუნებენ ჩუენ, ვითარცა იტყვს წინაღწარმეტყუელი ესაია (შდრ. ეს. 3,12).

15. დიდ არს კაცი, რომელმან თავს-იდვას გინებაჲ სიხარულით; ხოლო წმიდა არს იგი და პატიოსან, რომელმან განარინოს თავი თჳსი ქებისაგან უვნებელად.

16. ვიხილენ მგლოვარენი, რომელნი იქნეს სხუათაგან და აღიძრნეს იგინი რისხუად, და ვითარცა სავაჭროსა შინა ვნებითა ვნებაჲ მოიყიდეს.

17. არავინ იცის კაცისად, გარნა სულმანვე კაცისამან, ამისთვისცა ჳრცხუენოდენ ყოველთა, რომელნი აქებენ კაცსა პირსა ზედა მისსა.

18. რაჟამს გესმას, ვითარმედ მეგობარმან შენმან ძკრი გიზრახა შენ, მაშინ აჩუენე სიყუარული მის ზედა.

19. დიდ არს განგდებაჲ სულისაგან ქებისა კაცთაჲსა, ხოლო უზემთაჲს არს განგდებაჲ ქებისა ეშმაკთაჲსა.

20. სიმდაბლზე აჩუენა, არა-თუ რომელი თავსა თვსსა დაიმდაბლებდეს, რამეთუ ვითარმცა არა ეტვრთა თავი თვსი, არამედ მან აჩუენა სიმდაბლზე, რომელი იგინოს სხუათაგან და მოითმინოს და არა შეცვალოს სიყუარული თვსი მათდა მიმართ.

21. დავიდევ გონებასა ჩემსა განცდად ეშმაკსა ცუდად-მზუაობრობისასა და ვიხილე, რამეთუ მოაგონნა მან ძმასა ერთსა გულისსიტყუანი და წარვიდა, გამოუცხადა სხუასა ძმასა, რად-იგი მოაგონა მას. და მერმე მიაველინა პირველი იგი ძმა მეთორისა მის, რადთამცა უთხრნა გულისსიტყუანი იგი და მერმე, ვითარცა დაფარულთა მცნობელსა, ჰნატრიდა მას.

22. მრავალგზის ასოთაცა გუამისათა შეეხის არანმიდავ იგი და მზაკუფარებასა თვსსა დასთესავნ მათ შორის, და აოცნებნ კაცსა ასოთა აღმღერებისა მიერ მომავალთა საქმეთა.

23. რაჟამს ებისკოპოზობასა ანუ წინამძღურობასა მოგაგონებდეს, ნუ შეინწყნარებ მას, რამეთუ ძნელ არს საწორცეთა ადგილთაგან ძაღლისა განძებად.

24. რაჟამს მცირედ ჟამ დავყვით უდაბნოსა დაყუდებით და მშკდობასა შინა, მაშინ მეტყვნ მტერი ჩუენი მისლვად სოფელსა და მრქვს: „წარვედ, რადთა განარინნე სულნი იგი წარწყმედულნი და აცხოვნნე იგინი“.

25. სხუად არს ხილვად ჰინდოფსად, და სხუად არს კაცისა სპეტაკისად, და კუალად – სხუა არს სახზე ცუდადმზუაობრობისად მათი, რომელნი დამკვდრებულ არიან მონასტერთა შინა, და სხუა არს მათი, რომელნი დამკვდრებულ არიან უდაბნოთა.

26. რაჟამს მოვიდოდიან ერისაგანნი მონასტრად, წინაფსწარ უსწრის ეშმაკმან ცუდადმზუაობრობისამან და დაარწმუნის უგუენურთა მონაზონთა განსლვად და შემთხუევად მათდა.

27. წინაშე ფერწთა მათთა დაარწმუნის შევრდომად და

სიმდაბლესა იჩემებნ, სავსე იგი ამპარტავანებითა, და გან-
შუენდებიედ წინაშე მათსა სახითა სიმშკდისაჲთა, ხოლო
გონებანი მათნი შეკრულ არიედ საფასეთა მათთა მიერ,
რადთამცა მოიღეს მათგან რადმე, და ხადიედ მათ უფლით,
და ეტყვედ, ვითარმედ შემდგომად ღმრთისა არა არს ცხო-
რებაჲ ჩუენი, გარნა ჴელთა თქუენთა მიერ.

28. ტაბლასა რად დასხდიან, ეტყუნ ცუდადმზუაობრობაჲ,
რადთა იმარხონ, და უდარესთა მათ უწყალოდ ამხილებდიან.

29. ლოცვად რად დადგიან, უდებნი ახოან-ყენის, უჴმონი
– ჴმა-კეთილ, მოძილნი – მღჴძარედ. და ითხოედ განმგისა-
გან ეკლესიისა წარჩინებულებისა პატივსა წიგნისკითხვასა,
და წინაჲსწარ აღებასა ფსალმუნისასა და იბაკო-წარდ-
გომისასა და მოძღურით და მამით ხადიედ მას, ვიდრე ერის-
კაცთა მათ წარსლვადმდე.

30. უკუეთუ პატივ-იციან განმგისა მის მიერ თხოისა
მათისაებრ, ამპარტავან იქმნიან, და, უკუეთუ შეურაცხ-
ყენის იგინი, ძვრსა იჴსენებდიან მისთვის მრავალ ჟამ.

31. შემდგომად წარსლვისა მის ერისკაცთაჲსა ეშმაკმან
მან ცუდადმზუაობრობისამან განდრიკნის გულნი მათნი
ურჩებად, და მრისხანე და მაცილობელ იყენიან ყოველთა
მიმართ.

32. ცუდადმზუაობრობაჲ მრავალგზის პატივისა წილ
შეურაცხებისა მომატყუებელ იქმნის, რამეთუ განრისხნიან
რად მონაფენი მათნი, სირცხული დიდი მოაწიის მათ ზედა.

33. ცუდადმზუაობრობამან მრავალგზის ფიცხელნი მშჴ-
დად შეცვალნის.

34. ბუნებითთა საქმეთა ზედა მიიწვევის და მათ მიერ
დასცნის მრავალგზის უბადრუენი.

35. ვიხილე ეშმაკი, რომელმან მოყუასი თჴსი შეანუხა
და განდევნა. რამეთუ ძმანი ვინმე განრისხნეს ურთიერ-
თას, და ვიდრელა შფოთსა შინა იყენეს, იქმნა მოსლვაჲ ვიე-
თიმე კაცთაჲ და დააცადეს მათ მეყსეულად შფოთი იგი,

არა ღმრთისათვის, არამედ ცუდადმზუაობრობისათვის, და გამოვიდეს მრისხანებისაგან, და მიეყიდნეს ცუდადმზუაობრობასა, რამეთუ ორთავე ერთბამად მონებად ვერ ეძლო უბადრუკთა მათ.

36. ცუდადმზუაობარი წესითა და გუამითა მონაზონთათა იქცევიან, ხოლო გონებითა და საქმითა – ერისაგანთა თანა იყვის.

37. საყუარელნო, უკუეთუ ზეცისა კეთილთა მიმართ მივისწრაფით, ზეცისაცა დიდებისა გემოდ ვიხილოთ. რამეთუ, რომელმან მის დიდებისა გემოდ იხილოს, ყოველივე ქუეყანისა დიდებად შეურაცხ-ყოს, რამეთუ მე მიკვრს, უკუეთუ თვნიერ მისისა გემოდს-ხილვისა შეურაცხ-ყოს ვინ ამაოდ ესე და წარმავალი.

38. მრავალგზის წარმტყუენნის ჩუენ ცუდადმზუაობრობამან და მერმე მოვიქცით ჩუენ და უმჯობესად წარმოვტყუენით იგი. რამეთუ ვიხილენ ვიეთნიმე, რომელთა იწყეს საქმწ სულიერი ცუდადმზუაობრობით, და რომლისა-იგი დაწყებად ხენეშ იყო, აღსასრული მისი კეთილ და საქებელ იქმნა, რაჟამს მოქმედთა მათ შეცვალეს გონებად მათი ზუაობისაგან სიმდაბლედ.

39. რომელი ზუაობდეს საქმეთათვის ბუნებითთა – ესე იგი არს კეთილად სწავლულებისათვის და ჴელმარჯუეობისა და კეთილად კითხვისა და მეცნიერად გულისჴმის-ყოფისა და ჴმაკეთილობისა და შუენიერებისათვის ხატისა და ჴასაკისა და მსგავსსა ზედა ამათსა – ეგევითარი ვეროდეს მიემთხვოს კეთილთა მათ ბუნებისა უაღრესთა. რამეთუ, რომელი მცირესა ზედა ურწმუნო არს, იგი დიდსაცა ზედა ურწმუნო და მზუაობარ არს.

40. კაცთა მრავალთა შემუხსრნეს და განკაფნეს ჴორცნი მათნი, რადთამცა მძლე-ექმნეს ვნებათა, და მოიგესცა მადლი სასწაულთმოქმედებისა და ძალი წინაჲსწარმეტყუელებისა. და სიმდაბლწ არა მოიგეს, და ვერ გულის-

ჯმა-ყვეს უბადრუკთა, ვითარმედ არა შრომანი, არამედ უფროდსად სიმდაბლჳ არს დედაჲ ამათ ესევეითართაჲ.

41. რომელი ნიჭსა ითხოვდეს ღმრთისაგან მოსაგებელად შრომათა მისთაჲსა, ეგევეითარსა ხენეში და უძღური საფუძველი დაუც, ხოლო რომელსა შეერაცხოს თავი თვისი თანამდებად ჭირთა და შრომათა, მან მოულოდებელსა და უცნაურსა ჟამსა მიიღოს სიმდიდრჳ დიდი.

42. ნუ შეინყნარებ, საყუარელო, ეშმაკსა ზუაობისასა, რაჟამს გეტყოდის, ვითარმედ: „განაცხადენ სათნოებანი შენნი, რაჲთა სარგებელ-ეყოს, რომელნი ხედვიდენ მათ“, რამეთუ რაჲ სარგებელ-ეყოს კაცსა, უკუეთუ ყოველსა სოფელსა არგოს, ხოლო თავი თვისი წარინყმიდოს?!

43. ვერარაჲ აღაშენებს ესრეთ კაცთა, ვითარ სიმდაბლჳ და სახლჳ კეთილი და სიტყუანი ტკბილნი და მშჳდნი, რამეთუ ესევეითარი სახე ექმნების სხუათაცა – სახე არაზუაობისაჲ, რომლისა რაჲმცა უმეტეს იყო სარგებელად?

44. მითხრობდა ვინმე ბერი წმიდაჲ და გამოცდილი და თქუა, ვითარმედ: „ვიყავ ოდესმე შესაკრებელსა შინა ძმათასა და მოვიდეს ცუდადმზუაობრობისა და ამპარტავანებისა ეშმაკნი, ერთი მარჯულ ჩემსა და ერთი მარცხლ, და ერთი იგი მიგურემდა გუერდსა თითითა მით თვისითა მზუაობრითა და მანუევდა, რაჲთამცა უთხარ მუნ მყოფთა ჩუენებაჲ რაჲმე ანუ მოლუანებაჲ, რომელი მექმნა უდაბნოს, ხოლო მე განვდევნე იგი და ვარქუ: ‘მართლუკუნ იქცენ და სირცხვლეულ იქმნენ, რომელნი ზრახვიდეს ჩემთჳ ძკრსა’ (ფსალმ. 39,15), და მეყსეულად მეორჳ იგი მარცხენესა ყურსა ჩემსა მეტყოდა, ვითარმედ: ‘ვაშა, ვაშა, რამეთუ დიდ იქმენ შენ, რომელ ურცხვნოჲ იგი დედაჲ ჩემი იოტე და მძლე-ექმენ’. ხოლო მე მიუგე მას შემდგომი იგი პირველთქუმულისა მის მუჭლისაჲ, ვითარმედ: ‘მიიქცედ მუნთქუესვე სირცხვლეულნი, რომელნი მეტყოდეს მე: ვაშა, ვაშა, რამეთუ კეთილად ჰქმენ’“.

45. ვკითხე მასვე ბერსა და ვარქუ, ვითარმედ: „ვითარ არს ცუდადმზუაობრობაჲ დედა ამპარტავანებისა?“ ხოლო მან მომიგო და მრქუა მე, ვითარმედ: „ქებაჲმან აღამალლის სული კაცისაჲ, და რაჟამს აღმალლდის სული, მაშინ შეიპყრის იგი ამპარტავანებაჲმან და აღიყვანის ცადმდე, და მიერ შთაიყვანის უფსკრულადმდე და ქუესკნელად ჯოჯოხეთისა“.

46. არს დიდებაჲ ღმრთისა მიერ მოცემული, ვითარცა იგი წერილ არს, ვითარმედ: „მადიდებელნი ჩემნი ვადიდნე“ (1 მეფ. 2,30), და კუალად – არს სხუად დიდებაჲ განგებითა ეშმაკისაჲთა, ვითარცა-იგი თქუმულ არს, ვითარმედ: „ვად არს თქუენდა, რაჟამს კეთილად გეტყოდიან თქუენ კაცნი ყოველნივე“ (ლუკ. 6,26).

47. უკუეთუ გნებავს ცნობად ღმრთისამიერისა დიდებისა, სცნა ესრეთ: რაჟამს შენ შეგერაცხოვს დიდებაჲ იგი, ვითარცა მავნებელი, და ყოვლითავე ღონისძიებითა ივლტოდი მისგან, და სადაცა წარხვდე, მოქალაქობასა შენსა ჰფარვიდე. ხოლო საეშმაკოდ დიდებაჲ ესრეთ იცნა: რაჟამს შენ გენებოს, რაჲთამცა იხილეს კაცთა სათნოებაჲ შენი.

48. დაგუარწმუნებნ ჩუენ ბილნი იგი, რაჲთამცა ვიჩემებდით წინაშე კაცთა სათნოებათა, რომელნი არა მოგუეგნიან და მოგუაწსენებნ სიტყუასა მას სახარებისასა, რომელსა იტყვს, ვითარმედ: „ესრეთ ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რაჲთა იხილნენ საქმენი თქუენნი კეთილნი და ადიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა“ (მათ. 5,16).

49. მრავალგზის განარინნის ღმერთმან მოყუარენი მისნი ცუდადმზუაობრობისაგან მონევნადთა მათ მიერ მათ ზედა ყუედრებათა და კდემულებათა კაცთაგან.

50. დასაბამი არაზუაობისაჲ არს დაცვაჲ პირისაჲ და სიყუარული კდემისა და ყუედრებისაჲ; და საშუალი არს დატევებაჲ ყოვლისავე საქმისაჲ, რომელი მოატყუებდეს ცუდადმზუაობრობასა; ხოლო სრული საზომი მისი, უკუეთუ

ოდენ იპოების უფსკრულისა აღსასრული, ესე არს, რად-
თა ყოვლითა ძალითა მისითა ეძიებდეს კაცი გინებასა და
ყუედრებასა და შეურაცხებასა.

51. ნუ დაჰფარავ, საყუარელო, აუგთა შენთა, რომელთა
ჩუენებად საგონებელ იყოს დაბრკოლება.

52. არა ერთისა წამლისა ჯერ არს დადებად ყოველსა
წყლულებასა ზედა, არამედ სხუად წამალი ჯერ არს, რა-
ჟამს ჩუენ თვთ მოვიხდიდეთ დიდებასა ჩუენდა მომართ,
და სხუად – რაჟამს მოუხდელად სხუათა მიერ მოვიდოდის
ჩუენდა.

53. რაჟამს ჳელ-ვყოთ ქმნად საქმეთა რათმე ცუდად-
მზუაობრობისა მომატყუებელთა, მაშინ გლოვად ჩუენი
და სენაკსა შინა ჩუენსა ლოცვად წარდგომისა შიში მოვი-
წსენოთ, და უეჭუელად შევარცხვნოთ ურცხვინოდ იგი, უკუ-
ეთუ ოდენ ლოცვისა ჭეშმარიტისა ზრუნვად გუაქუნდეს.
ხოლო უკუეთუ ესე გულისსიტყუად ვერ მოვიგოთ, მაშა სირ-
ცხვლი იგი, რომელი შეუთქს ცუდადდიდებასა, მოვიწსენოთ,
რამეთუ ყოველმან, რომელმან აღიმალლოს თავი თვისი,
დამდაბლდეს აქავე და მას საუკუნესაცა (შდრ. ლუკ. 14,11).

54. რაჟამს მაქებელთა და უფროხლა მაცთურთა ქებად
გვწყონ, მაშინ შინაგან ცოდვანი ჩუენნი მოვიწსენნეთ და
სიმრავლენი ურჩულოებათა ჩუენთანი და ესრეთ ვიცნათ
უღირსებად ჩუენი.

55. მრავალგზის ითხოვდიან რასმე მზუაობარნი, და ჯერ
არნ, რადთა მოეცეს მათ თხოად მათი. ამისთვისცა უფალმან
უსწრის და პირველ თხოისა მათისა მოსცის მათ საქმწ იგი,
რადთამცა არა მოილეს იგი ლოცვითა თვისითა და ზუაობასა
მათსა შესძინონ.

56. წრფელნი არა ფრიად შთაცვან ამას გესლსა, რამე-
თუ ცუდადმზუაობრობად მათებელი არს სინწფოებისად და
ცხორებად არს ზაკუვითა და გულარძნილებითა აღვსებული.

57. არს რომელიმე მატლი, რომელი აღიზარდის რად,

გამოისხნის ფრთენი და აღფრინდის სიმალლედ. და ცუდად-
მზუაობრობად, სრულ იქმნის რად, შვის ამპარტავანებად, და-
საბამი იგი და სრულმყოფელი ყოველთა ბოროტთად.

ამპარტავანებისათვის

58. ამპარტავანებად უარის-ყოფა არს ღმრთისად და მე-
გობრობა ეშმაკთად, შეურაცხმყოფელი კაცთად, განკითხ-
ვისა დედად, ქებათა ნაშობი, უნაყოფოებისა სახე, შენევისა
ღმრთისა მათგებელი, წინამორბედი განცკვრებისა და ცნო-
ბამიღებულებისად, მომატყუებელი დაცემათად, მიზეზი გან-
ცოფებისად, წყაროდ გულისწყრომისად, კარი ორგულებისად,
სიმტკიცე ეშმაკთად, მცველი ცოდვათად, უწყალოებისა მშო-
ბელი, მონყალებისა უმეცრებად, სიტყვსმგებელი მწარე, მსა-
ჯული უწყალოდ, წინააღმდეგომი ღმრთისად და ძირი გმობისად.

59. დასაბამი ამპარტავანებისად არს აღსასრული ცუ-
დადმზუაობრობისად. ხოლო საშუალი მისი არს შეურაცხყო-
ფად მოყუისისად და შრომათა თვსთა ურცხვანოდ ქადაგებად,
და ქებად გულსა შინა, და სიძულილი მხილებისად. ხოლო
სისრულე მისი არს უარის-ყოფად შენევისა ღმრთისად, და
სიხარული თვსსა საქმესა ზედა, და მინდობად ძალსა თვსსა,
და გონებად საეშმაკოდ.

60. ვისმინოთ ყოველთა, რომელთა გუნებავს განრო-
მად მთხრებლისა ამისგან ბოროტისა, ვითარმედ პირველად
მადლობისაგან ღმრთისა მიიღებს ესე დაწყებასა, რამეთუ
ურცხვნოებით პირველადვე ღმრთისა უარის-ყოფასა ვერ
მოაგონებს კაცსა.

61. ვიხილენ კაცნი, რომელნი ჰმადლობდეს ღმერთსა
პირითა და მაღლოოდეს გონებითა, და მონამე არს ამას ზე-
და ფარისეველი იგი, რომელი იტყოდა, ვითარმედ: „ღმერთო,
გმადლობ შენ“ (ლუკ. 18,11).

62. სადაცა დაცემად იქმნა, ცან, ვითარმედ მუნ პირვე-

ლად ამპარტავანებამან დაიმკვდრა, რამეთუ მომასწავებელი პირველისაჲ მის არს მეორეჲ ესე.

63. მესმა კაცისა მოძღუართაგანისაჲ, იტყოდა რაჲ, ვითარმედ: „ესრეთ გულისგმა-ყავ, ვითარმცა ათორმეტი იყორიცხვ არანმიდათა ვნებათაჲ. უკუეთუ ერთი მათგანი, რომელ არს ამპარტავანებაჲ, შეიყუარო ნებსით, მან აღასრულოს ადგილი ათერთმეტთაჲ მათ“.

64. მონაზონი ამპარტავანი მრავალმეტყუელ და მაცილობელ არს; ხოლო მდაბალი – ყოვლადვე მყუდრო არს და უტყუელ.

65. ვითარცა არასადა მოიდრიკოს კვპაროზმან ქუეყანად სიმაღლეჲ თვისი, ეგრეთვე მონაზონმან ამპარტავანმან არასადა მოიგოს მორჩილებაჲ.

66. მონაზონსა ამპარტავანსა სურინ წინამძღურობისათვის, რამეთუ სხვთა სახითა ვერ ჰპოებენ ესრეთ მსწრაფლ წარწყმედასა.

67. თავსა თვისსა ვითარცა მდაბალსა ხედავენ, ხოლო ძლეულ არნ იგი და აღვსებულ ამპარტავანებითა.

68. უკუეთუ უფალი წინააღუდგების ამპარტავანთა (შდრ. იაკ. 4,6), ვინლა შეუძლოს შეწყალებაჲ ესე ვითართა მათ უბადრუკთა?

69. უკუეთუ წინაშე უფლისა საძაგელ არს ყოველი გული მაღალი (შდრ. იგავ. 16,5), ვინლა შეიყუაროს იგი სხუამან?

70. სწავლაჲ ამპარტავანთაჲ დაცემაჲ არს ცოდვითა, ხოლო დამქენჯნელი მათი ეშმაკი არს, და სენი მათი – განსლვაჲ სრულიად გონებისაგან და განცოფებაჲ. და პირველი იგი ნუუკუე კაცთა მიერცა განიკურნის, ხოლო მესამეჲ ესე კაცთა მიერ უკურნებელ არს.

71. ყოველი, რომელი ივლტოდის მხილებისაგან და აღშფოთნებოდის მისთვის, ეგვევითარი თვთ წამებს თავისა თვისსა ვნებასა, ხოლო რომელი მიისწრაფდეს მხილებისა მიმართ, განწსნილ არს იგი კრულებისაგან მსწრაფლ.

72. უკუეთუ თვნიერ სხვსა ვნებისა ამპარტავანებისა მიერ ოდენ ეშმაკი ზეცით გარდამოვარდა, გულისწმა-ვყოთ, ვითარმედ თვნიერ სხვსა სათნოებისა შესაძლებელ არს სიმდაბლისა მიერ ოდენ ზეცად აღსლვაჲ.

73. ამპარტავანებაჲ წარმწყმედელი არს ოფლთა და სიმდიდრისა სულიერისაჲ.

74. ღალად-ყვეს და არავინ იყო მკსნელ მათდა, ამისთვის რამეთუ ამპარტავანებით ღალად-ყვეს. ხადოდეს უფალსა და არა ისმინა მათი (შდრ. ფსალმ. 17,42), ამისთვის რამეთუ მიზეზნი მათ საქმეთანი, რომელთათვის ხადოდეს, არა მოიკუეთნეს.

75. ძმასა ვისმე ამპარტავანსა ბერი ვინმე სულიერი ასწავლიდა, ხოლო დაბრმობილმან მან მიუგო, ვითარმედ: „შემინდვე, მამაო, არა ვარ მე ამპარტავანი“. ხოლო ყოვლად-ბრძენმან ბერმან ჰრქუა მას: „რად არს ეგე, შვილო, შეგინდვენ შენ უფალმან. ანლა დამარწმუნე, ვითარმედ ამპარტავანი ხარ, რამეთუ თვთ სწამე ესე, რაჟამს სთქუ, ვითარმედ არა ამპარტავან ვარო“.

76. ფრიად სარგებელ არს ესევითართათვის მორჩილებაჲ და ცხორებაჲ შეურაცხი, და კითხვაჲ ბუნებისა უაღრესთა მამათა სათნოებათაჲ, და ნუუკუე ეყოს მათ ესრეთ სასოებაჲ რაჲმე ცხორებისაჲ.

77. სირცხვლ არს სამკაულსა ზედა სხვსასა ზუაობაჲ, და უგუნურება არს სრულიად მადლთა ზედა და ნიჭთა ღმრთისა-მიერთა ამპარტავანებაჲ.

78. უკუეთუ რაჲმე კეთილი გქონებიეს პირველ შობისა შენისა და სოფლად მოსლვისა, ზუაობდი მას ზედა, თუ არა, შემდგომად შობისა მოგებულნი მადლნი ღმერთსა მოუცემიან, რომელმან-იგი შობაჲცა და არაარსისაგან არსად მოსლვაჲ მოგანიჭა.

79. რაოდენნიცა სათნოებანი გარეგან გონებისა შენისა წარგიმართებიან და გონებაჲ შენი მათ ზედა არა გიჭმარე-

ბია, მათთვის მალლოოდე, რამეთუ იგინი ოდენ არიან შენნი; ხოლო რაოდენთაცა ზედა გონებაჲ შენი შემწედ გიჭმარებია, იგინი არა შენნი არიან, რამეთუ გონებაჲ ღმრთისა მოცემული არს.

80. რაოდენნიცა თვნიერ ჯორცთა შენთასა მოლუანებანი გიქმნიან, იგინი ოდენ ქმნილ არიან შენისა მოსწრაფებისა მიერ, ხოლო რომელნი ჯორცითა შენითა გიქმნიან, იგინი არა შენნი არიან, რამეთუ ჯორცნი არა-თუ შენნი, არამედ ღმრთისა დაბადებულნი არიან.

81. ნუ გულპყრობილ ხარ დღეთა შენთა, ვიდრე არა გამოწდეს ბრძანებაჲ შენთვის, ვინაფთგან გესმის მისთვის, რომლისა-იგი, შემდგომად შესლვისა საქორწინესა მას და ინაწით ჯდომისა წოდებულთა მათ თანა, შეეკრნეს ჯელნი და ფერწნი და მიეცა ბნელსა მას გარესკნელსა (შდრ. მათ. 22,13).

82. ნუ აღიმაღლებ თავსა შენსა, რაოდენცა ილუნიდე, ჰ, თიჯაო და მიწისაგანო! რამეთუ მრავალნი ზეცით გარდამოცკვეს უჯორცონი და უნივთონი.

83. რაჟამს პოის ეშმაკმან ადგილი მუშაკთა მისთა შორის, მაშინ მოუჭდის მათ ძილსა შინა, ანუ-თუ მღვდარედცა, ვითარცა სახითა ანგელოზისა ანუ მონამისაფთა, და გამოუცხადებნ მათ საიდუმლოთა და მიანიჭებნ მადლთა, რაფთამცა სცთეს უბადრუკნი იგი და სრულიადმცა გონებაცთომილ იქმნნეს.

84. დალაცა თუმცა ბევრჯერ მოვწყდით ქრისტესთვის, არავე გარდაგვჭდის ჯერეთ თანანადები ჩუენი. რამეთუ სხუაჲ არს სისხლი ღმრთისაჲ და სხუაჲ არს სისხლი მონისაჲ, ბუნებისაებრ ჯორცთა მისთაჲსა, არა-თუ ბუნებისაებრ ღმრთეებისა.

85. უწყოდეთ, ძმანო, უკუეთუმცა განვიკითხევდით და გამოვეძიებდით თავთა ჩუენთა, ვიპოენითმცა ყოვლადვე ვერ მიახლებულ კუალსა მას პირველთა მამათასა, და არცა კეთილად დამმარხველ აღთქუმასა მას მონაზონებისასა. რა-

მეთუ ვიდრე მოაქამდე, უკუეთუ კეთილად გულისჴმა-გყოთ, სოფლისავე ვნებათა შინა ვიქცევით.

86. ჭეშმარიტი მონაზონი – ესე არს მიმოუტაცებელი თუალი სულისაჲ და შეურყეველი სურვილი ღმრთისაჲ.

87. მონაზონი იგი არს, რომელსა ბრძოლათა მოსლვასა ზედა ესრეთ უხარინ, ვითარცა მონადირესა პოვნაჲ ნადირისაჲ, და აბეზღებნ მათ ლტოლვისა სახითა, რადთამცა მოვიდეს მის ზედა.

88. მონაზონი იგი არს, რომელი ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა აღტაცებულ იყოს გონებითა ღმრთისა მიმართ და მწუხარე იყოს მარადის ცხორებისა ამისათჴს.

89. მონაზონი იგი არს, რომელი ესრეთ მოსურნე იყოს სათნოებათათჴს, ვითარცა გემოთმოყუარენი – გულისთქუმათათჴს.

90. მონაზონი იგი არს, რომლისა თუალი სულისაჲ მიუაჩრდილებელად ნათელ იყოს.

91. მონაზონი იგი არს, რომელსა ექმნის სული თჴსი უფსკრულ სიმდაბლისა და მას შინა ყოველი სული ვნებათაჲ დაენთქას და მოეშთოს.

92. სიმაღლჴ ცოდვათა დავინყებასა მოიღებს, რამეთუ მათი ჴსენებაჲ სიმდაბლისა მომატყუებელ არს.

93. ამპარტავანებაჲ სიგლახაკე არს სრულიადი სულისაჲ, რამეთუ სიზმართა და ბნელსა შინა მდიდრად ეგონის თავი თჴსი, ხოლო განიღჴძის რაჲ და ნათელი გამოუბრწყინდის, მაშინ ცნის, ვითარმედ არცა-თუ პური აქუს.

94. არიან კაცნი, რომელნი იქადიან სიმდიდრესა, და მათ არარაჲ აქუს. და არიან სხუანი, რომელნი დაიმდაბლებენ თავთა თჴსთა დიდსა სიმდიდრესა შინა.

95. არა-თუ ოდენ წარმართებად არა შეუენდობს ბილნი ესე, არამედ სიმაღლისაგანცა გარდამოაგდებს.

96. ამპარტავანი მრონეული არს – გარეგან შუენიერი და შინაგან დამპალი.

97. მონაზონისა ამპარტავანისადა არა საჯმარ არს ეშ-
მაკი, რამეთუ იგი თვთ მტერი არს და მბრძოლი თავისა თვ-
სისაჲ.

98. ვითარცა უცხო არს ნათლისაგან ბნელი, ეგრეთვე
მონაზონი ამპარტავანი უცხო არს ყოვლისა სათნოებისაგან.

99. სულსა შინა ამპარტავანთასა იშვნენ სიტყუანი გმო-
ბისანი, ხოლო სულსა შინა მდაბალთა – ხილვანი ზეცათანი.

100. მპარავსა სძულნ მზე და ამპარტავანსა – სიმშკლე
და სიმდაბლე.

101. სცთეს ამპარტავანნი, არა უწყი თუ ვითარ, და შეჰ-
რაცხნეს თავნი თვსნი უვნებელად, და თვისი სიგლახაკე ჟამ-
სა სიკუდილისასა პოეს.

102. რომელი შევარდეს ამის ჯაჭვსა კრულეხასა, შეჰ-
გავს ფრიადი ვედრებაჲ ეგევითარისაჲ მის ღმრთისა მიმართ
ტირილითა, რადთა მან განარინოს იგი მღვმისა მისგან წყუ-
დიადისა, რამეთუ ცუდ არს ესევითარსა მას ზედა შენევენაჲ
კაცთაჲ, არა-თუ უფალი შეენიოს მას.

103. ვპოე ოდესმე უთაოჲ ესე, რომელი იქცეოდა გულსა
შინა ჩემსა და ბეჭთა ზედა დედისა თვისისათა აღმალლებულ
იყო, რომელნი-იგი მოვინადირენ მახითა მორჩილებისაჲთა,
და ვტანჯენ იგინი ტანჯვითა სიმდაბლისაჲთა, და ვკითხევ-
დი მათ, რადთამცა მაუნყეს, თუ შესლვაჲ მათი ჩემ თანა ვი-
თარ კარით არს. და რაჟამს იტანჯნეს იგინი, მომიგეს და
მრქუეს მე, ვითარმედ: „ჩუენ დასაბამი არა გუაქუს, არცა
შობაჲ, რამეთუ დასაბამნი და მშობელნი ვართ ყოველთა
ვნებათანი; ხოლო გუბრძავს ჩუენ არა-მცირედ შემუსრვი-
ლებაჲ გულისაჲ, მორჩილებისაგან შობილი, რამეთუ ჩუენ
მორჩილებაჲ არავისი გვსწავიეს. ამისთვისცა ცათა შინა
მთავრად დაბადებულ ვიყვენით და მიერ გარდამოვცუ-
ვით ურჩებისათვს ჩუენისა. ამისთვისცა, რადთა ერთბამად
ვთქუათ, ყოველთავე საქმეთა, რომელნი სიმდაბლესა წინა-
აღუდგებიან, ჩუენ ვართ მშობელნი მათნი; რამეთუ ყოველ-

ნი, რომელნი მას შეენევიან, ჩუენ წინააღგკდგებიან. გარნა ჩუენ ცათა შინაცა ვქმენით შფოთი, და შენ ვიდრე-მე ხკდე პირისაგან ჩუენისა? ჩუენ მრავალგზის შევიდით გულად შეურაცხებისა მიერცა, და მორჩილებისა და ურისხუელობისა, და ძკრუჴსენებლობისა და მოლუანებისა. ჩუენნი ნაშობნი არიან დაცემანი სულთანი: რისხვაჲ, ძკრისჴსენებაჲ, გულისწყრომაჲ, გმობაჲ, ჴმამალლობაჲ და ორგულებაჲ, სიძულილი, შური, სიტყვსგებაჲ, თკორჩულობაჲ, ურჩებაჲ. ერთი ოდენ არს, რომელსა ვნებად ვერ შემძლებელ ვართ და იგი გაუწყოთ შენ: უკუეთუ მარადის აბრალობდე თავსა შენსა წინაშე ღმრთისა სინმიდით, უწყოდე, ვითარმედ ვითარცა ქსელი დედაზარდლისაჲ გკხილო დადნობილი წინაშე შენსა. რამეთუ, ვითარცა ესერა ხედავ, ჴუნჴ ამარტავანებისაჲ არს ცუდადმზუაობრობაჲ, გარნა სიმდაბლემან ჴემმარიტმან და ბრალობამან თავისა თკსისამან შეურაცხ-ყონ ჴუნჴცა იგი და ზედამჯდომელიცა მისი, და ძლევისა გალობასა ტკბილად უგალობდენ უფალსა და იტყოდიან: ‘უგალობდეთ უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს, ცხენები და მჴედრები შთასთხია ზღუასა’ (გამ. 15,1) და უფსკრულსა სიმდაბლისასა“, რომლისა არს დიდებაჲ, ან და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

ესე ოცდამეორჴ კიბჴ არს ძლევაჲ დიდი ვნებისა ბოროტისაჲ. რომელი აღვიდა ამას ზედა, იგი ძლიერ არს ჴემმარიტად, უკუეთუ ოდენ შეუძლოს აღსლვად.

გამოუთქუმელთა მათ გულისსიტყუათათკს გმობისათა

თაჰი 23

1. ბოროტისა ძირისა ბოროტი რტოდ გუესმა პირველ-თქუმულსა მას შინა თავსა. რამეთუ იტყოდა ბილნი ამჰარ-ტავანებად, ვითარმედ მისი ნაშობი არს გამოუთქუმელი იგი გმობისა ბოროტი. ამისთკს ჯერ არს მისიცა შორის შემოღე-ბად, რამეთუ არა მცირე არს ბოროტი მისი, არამედ ფრიად-ცა დიდი არს და უძკრეს ყოველთა ვნებათა. და უძკრესი ესე არს, რომელ არცა შესაძლებელ არს ადვილად თქუმად მისი და აღსარებად და განქიქებად წინაშე სულიერისა მკურნალი-სა, ამისთკსცა მრავალთა სასონარკუეთილებისა მშობელ ექმნა, რამეთუ ვითარცა ჭიამან შეშად, ეგრეთვე არანმიდა-მან ყოველივე მათისა სასოებისა ძალი განლიის.

2. ესე უკუე ბილნი და უკეთური მრავალგზის წმიდისა ჟამისწირვისა ჟამსა მოგვკდის, და ჟამსა მას წმიდათა საი-დუმლოთა ზიარებისასა გუბრძავნ გმობად უფლისა და შესა-წირავისა მის წმიდისა. და ამის გამო უფროესად გულისწმა-ვჰყოთ, ვითარმედ არა ჩუენი სული არს მომპოვნებელ ესე-ვითართა მათ მიუწთომელთა და გამოუთქუმელთა ბოროტ-თა, არამედ ღმრთისმოძულისა ეშმაკისანი არიან სიტყუანი იგი, რომელი-იგი ზეცით გარდამოვარდა, ვინაფთგან მგმო-ბარი იყო უფლისად. რამეთუ, უკუეთუ ბილწნი იგი სიტყუანი ჩუენნი არიან, ვითარ თაყუანისცემით და მადლობით მოვი-ღებთ ნიჭთა მათ? ვითარ შესაძლებელ არს კურთხევადაცა და ძკრისზრახვადაცა ერთბამად?!

3. მრავალნი მრავალგზის ამან მაცთურმან სრულიად ცნობა-მიღებულ და ეშმაკეულ ჰყვნა, რამეთუ არა არს სხუად ძნიად აღსარებელი გულისსიტყუად, ვითარ ესე, და ამისთკს მრავალთა თანა დაბერდაცა. ხოლო არარად განა-

ძლიერებს ესრეთ ეშმაკთა და გულისსიტყუათა ჩუენ ზედა, ვითარ დაფარვად ბრძოლათა მათ საეშმაკოთად.

4. ნუვინ ჰგონებს გულისსიტყუათა მათ გმობისათა, თუ მისგან არს მიზეზი მათი. რამეთუ გულთმეცნიერი არს უფალი და უწყის, ვითარმედ არა ჩუენნი, არამედ მტერთა ჩუენთანი არიან სიტყუანი იგი, რომელნი მოგვკლენ.

5. სიმთრვალვ მიზეზი არს შებრკოლებისა ფერჯთადასა, და ეგრეთვე, ამპარტავანებად არს მიზეზი ესევეითართა ბოროტთა გულისსიტყუათად. და შებრკოლებისა მისთვის უბრალო არნ კაცი იგი, ხოლო სიმთრვალისათს ბრალეულ და დაშვილ იქმნას.

6. ლოცვად რად დავდგით, არანმიდანი იგი და გამოუთქუმელნი გულისსიტყუანი ზედა-აღგკდგიან, და ლოცვად რად აღვასრულით, მესყეულად წარვიდიან, რამეთუ რომელნი არა ჰბრძოდინ მათ, არცა იგინი ჰბრძვანან.

7. არა-თუ ოდენ ღმერთსა და საღმრთოთა საქმეთა ჰგმობს უღმრთოდ იგი, არამედ ბილნთაცა რადმე და უშუერთთა სიტყუათა იტყვნ გულთა შინა ჩუენთა, რადთამცა ანუ ლოცვად იგი დაუტევეთ, ანუმცა სასოებად თავთა ჩუენთად წარვიკუეთეთ.

8. მრავალნი ლოცვისაგან დააბრკოლნა და მრავალნი ზიარებისაგან წმიდათა საიდუმლოთადასა უკუნაქცინა, და რომელთამე ჳორცნი მნუხარებითა განლინა, და სხუანი მარხვისაგან მოაუძღურნა ბოროტმან ამან და კაცთმოდულემან მძღავრმან და ყოვლადვე არა უღხინა მათ. და არა-თუ ოდენ ერისკაცთა, არამედ მონაზონთაცა ზედა მოაწია ესე, და მერმე სასოებად წარუკუეთის და ეტყვნ, ვითარმედ არღარა არს სასოებად თქუენისა ცხორებისად, არამედ ურწმუნოთა და წარმართთა უძკრეს-ქმნილ ხართ.

9. რომელი იტანჯებოდის ეშმაკისაგან გმობისა, გულისწმა-ყავნ, ვითარმედ არა მისი სული არს მიზეზ მათ ზრახვათა, არამედ არანმიდად ეშმაკი, რომელი ეტყოდა უფალსა,

ვითარმედ: „ესე ყოველი შენ მიგცე, უკუეთუ თაყუანის-მცემე“ (მათ. 4,9). ამისთვის უკუე ჩუენცა უგულებელს-ვყოთ იგი და არარად შეგუერაცხნენ სიტყუანი მისნი, არამედ ვეცოდეთ: „ნარვედ მართლუკუნ ჩემგან, ეშმაკო, უფალსა ღმერთსა ჩემსა თაყუანის-ვსცე და მას მხოლოსა ვჰმსახურებდე (შდრ. მათ. 4,10); ხოლო შენი სიტყუადცა და საღმობადცა ეგე ბოროტი მიექეცინ თავად შენდა, და გმოზად შენი თხემსა შენსა ზედა დაგიჴედინ, ანცა და მერმესა მასცა საუკუნესა“.

10. რომელსა თვნიერ პირველთქუმულისა ამის სახისა ენებოს ბრძოლად ეშმაკსა გმოზისასა, მსგავს არს კაცსა, რომელსა ენებოს ჴელითა თვსითა შეჰყროზად ელვისად. რამეთუ ვითარ შეიპყრას, ანუ ვითარ წინააღუდგეს და სიტყუა-უგოს მას, რომელი-იგი მეყსა შინა წარჰვლის გულსა შინა, ვითარცა ქარი, და უმაღეს წამსა თუალისასა დასთესავს სიტყუასა მას და უჩინო იქმნების.

11. ყოველნივე ბრძოლანი დადგებიან და ებრძვიან და დაიყოვნებენ და ჟამსა მისცემენ, რომელსა ენებოს მათი ბრძოლად. ხოლო ესე არა ესრეთ არს, არამედ გამოჩინებასა თანა უჩინო იქმნის, და თქუმასა თანა სიტყუსასა მიგუეფარის.

12. მრავალგზის წრფელთა და უმანკოთა გონებათა მოვიდის ესე ეშმაკი და ანყინებნ მათ, რომელნიცა უმეცარად შეშფოთდიან და აღიძრნიან. და ამისთვის ვიტყვოთ, ვითარმედ არა ყოვლადვე აშპარტავანებისაგან არნ, არამედ ოდესვე შურისაგანცა ეშმაკთაჲსა იქმნის იგი.

13. განკითხვასა მოყუსისასა ვეკრძალნეთ და გმოზისა გულისსიტყუათაგან არა შევშფოთნეთ, რამეთუ მიზეუზი და ძირი მეორისად მის პირველი იგი არს.

14. ვითარცა რომელი შეყენებულ არნ სახლსა შინა და ესმინ გარენარმავალთა სიტყუად, და იგი არას მიუგებნ მათ, ეგრეთვე სულსა ესმიან ჴორცთა შინა შეყენებულსა ეშმაკთა

გმობანი, რომელთა იტყვებდ, თანანარჰვლიდის რად სულსა მას, და შეშფოთნის იგი.

15. რომელმან შეურაცხ-ყოს იგი, განთავისუფლებულ არს მისგან; ხოლო რომელსა სხვთა სახითა ენებოს ბრძოლად-ყოფად მისი, უკუნისამდე დაადგრეს იგი მას შინა. რამეთუ, რომელსა სულისა არანმიდისა შეჰყრობად ენებოს, მსგავს არს კაცსა, რომელსა ჰნებავნ შეჰყრობად ქართად.

16. იყო ვინმე მონაზონი მოსწრაფჷ, რომელსა ჰბრძოდა ეშმაკი ესე ოც წელ, და დაადნვნა ჳორცნი მისნი მარხვითა და მღკძარებითა, და ვითარცა ვერ ჰოვა ლხინებად, დაწერა ვნებად იგი ქარტასა ზედა და მიართუა იგი ბერსა ვისმე წმიდასა და მისცა მას და თვთ შეუვრდა ფერჳთა მისთა და ვერ ეძლო მისა მიხედვად; ხოლო ვითარცა წარიკითხა იგი ბერმან მან, განიღიმნა და აღადგინა ძმად იგი, და ჰრქუა მას: „დადევ, შვილო, ჳელი შენი ქედსა ზედა ჩემსა“, და ვითარცა ქმნა ესე ძმამან მან, ჰრქუა მას ბერმან: „ჩემ ზედა იყავნ, ძმაო, ცოდვად ესე, რაოდენ წელცა დაუყოფია შენ თანა, ოდენ შენ ნურადმცა შეგირაცხიეს იგი“. და მითხრობდა ძმად იგი გულსავსებით, ვითარმედ: „არლა გამოსრულ ვიყავ სენაკისაგან ბერისა, ოდეს უჩინო იქმნა ვნებად იგი“. ესე მაუნყა მე ძმამან მან, და დიდად ჰმადლობდა ღმერთსა მრავალმონყალესა, რომლისადა არს დიდებად უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სინრფოეებისათვის და სიმშკდისა და უმანკოებისა და გულარძნილებისა

თავი 24

1. წინაუძღვს მზესა ნათელი განთიადისად,* და ყოველსავე სიმდაბლესა წინაუძღვს სიმშკდისა სათნოებად, ამისთვისცა ნათლისად მის ჭეშმარიტისად ვისმინოთ, რომელი ესრეთ განანესებს მათ, რამეთუ იტყვს: „ისნავეთ ჩემგან, რამეთუ მშკდ ვარ და მდაბალ გულითა“ (მათ. 11,29). ან უკუე ჯერ არს, რადთა პირველ მზისა ნათლისათვის განვნათლდეთ და მერმელა მზესა მივხედნეთ კეთილად. რამეთუ, ვითარცა შეუძლებელ არს თვნიერ ნათლისა ხილვად მზისად, ეგრეთვე შეუძლებელ არს თვნიერ სიმშკდისა პოვნად სიმდაბლისად.

2. სიმშკდს დანყნარებად არს გონებისად შეუცვალელებელი, რომელი პატივისცა ზედა და შეურაცხებასა სწორად იყოფებინ.

3. სიმშკდს ესე არს, რადთა, ოდეს მოყუასი გაგინებდეს და შეურაცხ-გყოფდეს, შენ ყოვლითა სულითა მისთვის ილოცვიდე განწმედილითა გულითა.

4. სიმშკდს კლდს არს მდებარს აღმადლებულად ზღვსაგან გულისწყრომისა, რომელი ყოველთავე მის მიერ მომავალთა ღელვათა შეჰმუსრავს და თვთ ყოვლადვე არა შეირყევს.

5. სიმშკდს მოთმინებად არს ყოველთა განსაცდელთად მადლობით და სიხარულით.

6. სიმშკდს სიმტკიცს არს მოთმინებისად და ბჭს სიყუარულისად და უფროსლა – დედად მისი; ძალი არს გულისწყმის-ყოფისად, რამეთუ თქუმულ არს, ვითარმედ: „ასწავლნეს უფალმან მშკდთა გზანი მისნი“ (ფსალმ. 24,9); მომა-

* ნათლად სიმშკდესა იტყვს და მზედ – სიმდაბლესა.

ტყუებული არს ცოდვათა შენდობისაჲ; კადნიერებაჲ არს ლოცვასა შინა; სამკვდრებელი არს სულისა წმიდისაჲ; რამეთუ იტყვს სული წმიდაჲ, ვითარმედ: „ვისა მივხედნე, გარნა მშკდთა და მყუდროთა“ (ეს. 66,2).

7. სიმშკდჴ შემწჴ არს მორჩილებისაჲ, წინამძღუარი არს ღმრთისმოშიშებისაჲ, აღკრი არს გულისწყრომისაჲ, დამჴსნელი მრისხანებისაჲ, მომატყუებელი სიხარულისაჲ, მსგავსებაჲ არს ქრისტესი, სახეობაჲ ანგელოზთაჲ, საკრველი ეშმაკთაჲ და საჭურველი ვნებათა მიმართ.

8. სულსა ზედა მდაბალთა და მშკდთასა განისუენოს უფალმან, ხოლო სული მეშფოთისაჲ საყდარი არს ეშმაკისაჲ.

9. მშკდთა დაიმკვიდრონ ქუეყანაჲ, ხოლო მრისხანენი განიდევნენ ქუეყანით მათით.

10. სული მშკდისაჲ საყდარი არს სინრფოებისაჲ, ხოლო გონებაჲ მრისხანჴ – მოქმედი არს უკეთურებისა და გულარძნილებისაჲ.

11. სულმან მშკდმან შეიწყნარნეს სიტყუანი სიბრძნისანი, რამეთუ უძღვს უფალი მშკდთა საშჯელსა, და უფროდსა – გულისჴმის-ყოფასა.

12. სული წრფელი მეუღლჴ არს სიმდაბლისაჲ, ხოლო გულარძნილი – მოყუასი არს ამპარტავანებისაჲ.

13. სულნი მშკდთანი აღივსნენ გულისჴმის-ყოფითა, ხოლო გონებაჲ მრისხანისაჲ – სიბნელითა და უგულისჴმოებითა.

14. მრისხანჴ და განმცხრომელი შეიმთხვნეს ურთიერთას, და არა იპოვა სიტყუაჲ სინრფოებისაჲ ზრახვათა შინა მათთა.

15. უკუეთუ განაღო გული პირველისაჲ – ჰპოო ძკრისჴსენებაჲ, და უკუეთუ გამოიძიო სული მეორისაჲ – ჰპოო მზაკუევარებაჲ.

16. სინრფოებაჲ წესი არს სულისაჲ მარტივი, აღუძრველი ბოროტისა მიმართ.

17. უკეთურებად ჯელოვნებად არს საეშმაკოდ, და უშუე-რებად მათი, განშორებული ჭეშმარიტებისაგან.

18. ორგულებად წესი არს ბოროტი, დამაბნელებელი სუ-ლისა და გონებისა, შეთხზული ყოვლითავე გულარძნილე-ბითა.

19. სინრფოებად არს გონებად უზაკუფელი, სახც უტყუე-ლი, სიტყუად ჭეშმარიტი, არა მოპოვნებული, არცა წინა-სწარ წურთილი.

20. უმანკოებად არს მხიარული სახც სულისა, ყოვ-ლისავე მზაკუფარებისაგან განშორებული სრულიად.

21. უმანკოებად ბუნებად არს სულისა და წმიდად, რომე-ლი-იგი ესრეთ არნ, ვითარ დაბადებულ არნ და ყოველთა მიმართ იყვის მოყუარულ და სახიერ, ტკბილ და უშფოთველ.

22. გულარძნილება განშორებად არს სინრფოებისაგან და გონებად ცთომილი, ტყუილითა შეთხზული სიტყუად, ფიც-ნი ცრუნი, უფსკრული არს მანქანებისა და ძკრისჯსენებისა, სწავლად არს მზაკუფარებისა, ჯელოვნებით ტყუილი, მტერი განკითხვისა და მორჩილებისა, მომატყუებელი დაცემათად, წინააღმდგომი სიმდაბლისა, ამპარტავანებად დამტკიცე-ბული, მაჩუენებელი სინანულისა, განშორებად გლოვისაგან, მტერი აღსარებისა, მოყუარული თვორჩულობისა, წინააღ-მდგომი უვენებელობისა, ღიმილი გინებათა ზედა, მჭმუნვა-რებად მოსულელებული, კრძალულება მოპოვნებული, ცხო-რებად საეშმაკოდ.

23. კაცი გულარძნილი მოყუასი და მეგობარი არს ეშმა-კისა, ამისთვისცა უფალი ესევითარისათკს გუამცნებს თქუ-მად, ვითარმედ: „გკჯსნენ ჩუენ ბოროტისაგან“ (მათ. 6,13).

24. ვივლტოდით უფსკრულისაგან უკეთურებისა და მღკმისაგან გულარძნილებისა, რამეთუ წერილ არს, ვი-თარმედ: „უკეთურნი წარწყმდენ“ (ფსალმ. 36,9) და „ვი-თარცა თივად მწუანვილისა დადრე განჯმენ და დაცვენ“ (ფსალმ. 36,2), რამეთუ საძოარ ეშმაკისა არიან ეგევითარნი.

25. ვითარცა სიყუარულ ენოდების ღმერთსა, ეგრეთვე სინრფოებად, ამისთვისცა ყოვლადბრძენი იგი მეტყუელი ქებისა ქებათადასა იტყვს წმიდისა მის მიმართ გულისა, ვითარმედ: „სინრფოებამან შეგიყუარა შენ“ (ქებ. 1,3), რომელ არს ღმერთი; და კუალად, ყოვლადბრძენისა მის ყოვლადბრძენი იგი მამად იტყვს, ვითარმედ: „ტკბილ და წრფელ ხარ შენ, უფალო“ (შდრ. ფსალმ. 24,8). და ესევეითართა მათ ცხორებასა იტყვს, ვითარმედ: „რომელმან-იგი განარინნის წრფელნი გულითა“ (ფსალმ. 7,11); და კუალად წერილ არს, ვითარმედ: „იხილა უფალმან სინრფოებად სულთა და მოჰხედნა მათ ზედა პირითა თვისითა“ (შდრ. ფსალმ. 10,7).

26. არარაჲ არს მსგავსი სინრფოებისაჲ, ამისთვისცა, ვიდრემდის აქუნდა იგი ადამს, არა იხილა შიშულოებად სულითა თვისისაჲ, არცა უშუერებად ჳორცთა თვისთაჲ.

27. კეთილ არს ბუნებითიცა იგი სინრფოებად და სანატრელ, გარნა ვერ ესევეითარი არს, ვითარ იგი, რომელი უკეთურებისაგან შრომითა და ოფლითა სინრფოებად მოსრულ იყოს. რამეთუ პირველი იგი დაცულ არს უკეთურებისა და ვნებათაგან, ხოლო მეორეჲ ესე – სიმდაბლისა დიდისა და სიმშკდისა მომატყუებელ არს, და მისი სასყიდელი არა დიდ არს, ხოლო ამისი – უფროდასად ამაღლებულ.

28. ყოველთა, რომელთა გუნებაჲს მოჰოვნებად უფლისაჲ წრფელად და უზაკუველად, მარტივითა და წმიდითა გულითა მოუწყდეთ მას. რამეთუ, ვინაფთგან იგი მარტივი არს და არა შეზავებული, ამისთვის მარტივთაცა და უმანკოთა სულთა ეძიებს. რამეთუ არასადა იპოების სიმარტივჲ და სინრფოებაჲ, განშორებული სიმდაბლისაგან.

29. უკეთური და მანქანად კაცი დაფარულთმცნობელი არს მტყუანი, რამეთუ სიტყუათაგან გონებისა ხედვათა იტყვნ და სახეთაგან გულისსიტყვსა ცნობასა იქადინ.

30. ვიხილენ წრფელნი, რომელთა ისნავეს მანქანათა და გულარძნილთაგან მანქანებად და გულარძნილებაჲ და

დამიკვრდა, თუ ვითარ ბუნებითი საქმეც ესრეთ მეცსა შინა წარწყმიდეს.

31. რაჲზომ-იგი წრფელნი ადრე გარდაიქცევიან მანქანებად, ეგოდენ მანქანანი და გულარძნილნი ძნად მოვლენ სინრფოებად.

32. უცხოებაჲმან ჭეშმარიტმან და მორჩილებაჲმან და დუმილმან მრავალი რაჲ შეუძლებელი შეუძლეს ქმნად და მრავალნი უკუზრებელნი განკურნნეს.

33. უკუეთუ სწავლულებაჲ და მეცნიერებაჲ აღაზუავებს მრავალთა, ნუუკუე უსწავლელობაჲ მრავალგზის ვიეთმე დაამდაბლებს, რამეთუ უსწავლელობასა ზედა ვერ ზუაობს კაცი.

34. სახე და ხატი ჭეშმარიტი სინრფოებისაჲ იქმნა ნეტარი პავლე წრფელი, მონაფე დიდისა ანტონისა, რამეთუ არავის-სადა უხილავს ესევითარი მცირედ ჟამ წარმართებაჲ, ვერცა ვინ იხილოს.

35. მონაზონი წრფელი საცხოვარი არს პირმეტყუელი, და თვისი ტვრთი სრულიად ბეჭთა ზედა მოძღურისათა დაუც.

36. არა სიტყუა-უგის ცხოვარმან მწყემსსა, არცა სულმან წრფელმან – წინამძღუარსა თვისსა. და შეუდგის იგი მწყემსსა მას, ვიდრეცა ჰნებავენ, და ვიდრე კლვადმდე სიტყვსგებაჲ არა იცის.

37. „ძნად შევიდეს მდიდარი სასუფეველსა“ (მათ. 19,23) და ძნად მიეახლნენ უგუნურნი იგი ბრძენნი გულარძნილებისანი სიმშკდესა.

38. დაცემათა მრავალგზის გულარძნილნი მოაქცინეს და უნებლიათი ცხორებაჲ და უმანკოებაჲ მოატყუეს მათ.

39. ისწრაფე, ძმაო, რაჲთა სულელ-ჰყო თავი შენი, და დაუტეო ამაოჲ იგი სიბრძნე შენი, და ესრეთ ჰპოო ცხორებაჲ და სინრფოებაჲ ქრისტეს იესუმს მიერ უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ თანა მამით და სულით წმიდითურთ, ან და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.